

კატალოგი

2021



გაომცემლოგა ინტელექტი

- ინტელექტი სკოლას
- თანამედროვე პროზა პოეზია
ესეისტიკა ღრამატურბია
- მცირე პროზა
- მინიატურული გამოცემები
- ნოტელის პრემიის
ლაურეატები
- 100 ლექსი
- ჩანაწერები
- ახალი თარგმანები
- ერთი შედეგის ყველა
ქართული თარგმანი
- ვიცოდეთ მეტი
- ლექსიკონები


„ინტელექტი“ ორ ათეულ წელზე მეტია გამოსცემს სახელმძღვანელოებს ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სკოლებისთვის, თანამედროვე და კლასიკურ პოეზიასა და პროზას.

გამომცემლობა „ინტელექტს“ აქვს რამდენიმე საავტორო სერია, რომელიც განსაკუთრებულად პოპულარულია: „ნობელის პრემიის ლაურეატები“, „100 ლექსი“, „ჩანაწერები“, „ინტელექტი სკოლას“, „ერთი შედეგის ყველა ქართული თარგმანი“.

● ინტელექტი სკოლას




ინტელექტი სკოლას



შოთა რუსთაველი
ვეფხისტყაოსანი
ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

332 გვ. | 9.80 ლარი

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ახალი პროზაული ვერსია მკითხველისთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ეს საქმე გამოჩენილმა მთარგმნელმა და მოღვაწემ, ბაჩანა ბრეგვაძემ ითავა. მან ორიგინალური ფორმით დაგვანახა უკვდავი პოემა. ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია „ვეფხისტყაოსნის“ ახლებურად გააზრების საშუალებას იძლევა.



აკაკი ბაქრაძე
სკოლას

460 გვ. | 10.10 ლარი

ნიგნის გამოცემის მიზანია, ახალგაზრდობამ გაითავისოს აზროვნებისა და ინტერპრეტაციის იმგვარი მანერა, რაც აკაკი ბაქრაძისთვისაა დამახასიათებელი.

აკაკი ბაქრაძე ყველგან და ყოველთვის მოვლენის არსს სწვდება და წარმოაჩენს. ამავე დროს, აკაკი ბაქრაძისათვის მხატვრული ტექსტი ერთგვარი საყრდენია, რათა მისი მეშვეობით საკუთარი სათქმელი თქვას, მოვლენისა თუ ფაქტისადმი საკუთარი დამოკიდებულება გამოხატოს. ამას იგი ნათელი სტილითა და სანიმუშო სისადავით აღწევს. ამიტომაც არის აკაკი ბაქრაძე ნებისმიერი მკითხველისათვის ერთნაირად საინტერესო და გასაგები.



შალვა საბაშვილი
სახალისო ასტრონომია

240 გვ. | 9.10 ლარი

ნიგნი ეხება ასტრონომიის საინტერესო მოვლენებს. მიმოხილულია მთვარის, კომეტების, ცთომილების, მეტეორების, მზისა და ვარსკვლავების რაობა, აგებულება, მოძრაობა. დასმულია ასევე კოსმოსური ცივილიზაციების არსებობის და მათთან ინფორმაციული კონტაქტის პრობლემა. ნიგნი ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეების, ასევე ასტრონომიის მოყვარული, ოღონდ მეცნიერების, ხელოვნების თუ სხვა სფეროებში მომუშავე ადამიანებისთვის.



გია მურღულია
საუბრები უფროსკლასელებთან

236 გვ. | 6.50 ლარი

„უშუალო საბაბი ამ ჩანაწერების შექმნისა, უმეტესობა მცირე ესეებადაც რომ წარმოგვიდგება, გაკვეთილებზე წამოჭრილი თემები აღმოჩნდება – ყმანვილებს რაც აღელვებდათ და აინტერესებდათ, რის პასუხსაც ეძიებდნენ, რისი ნიუანსების გარკვევაც ეწადათ... და გია მურღულიას ერუდიციისა და ორატორული უნარის კაცი ამ თემებზე ააგებდა მრავალმხრივ საგულისხმო იმპროვიზაციებს, რომლის წარმმართველიც იქნებოდა ფიქრის გაზიარების სურვილი, გადმოცემის ისეთი მანერა, რაც შეიძლება მისანდობი რომ ყოფილიყო ახალგაზრდებისათვის, რათა მართოდენ მსმენელებად კი არ დარჩენილიყვნენ, არამედ აპყოლოდნენ მსჯელობის დინამიკას და ცხოველი მონაწილეობაც მიეღოთ ფიქრის გაგრძელებასა თუ საკმაოდ მწვავე დისკუსიაში.

როსტომ ჩხეიძის წინასიტყვაობიდან




თეიმურაზ დოიაშვილი
ლეკან ბრეგაძე

ეკითხულობთ კლასიკას

248 გვ. | 11.10 ლარი

თეიმურაზ დოიაშვილისა და ლევან ბრეგაძის ნიგნში შესულია წერილები და ესეები ძველი, ახალი და უახლესი ქართული მწერლობის ნიმუშებზე, იმ ავტორებსა და თხზულებებზე, რომლებსაც საჯარო სკოლის პროგრამა ითვალისწინებს. ამ ნაწარმოებების პრობლემატიკასა და მხატვრულ თავისებურებებზე დაფიქრება გონებრივ თვალსაზრისსა და გაგვიფართოებს, ცხოვრების ავ-კარგის გარჩევის უნარსაც გაგვივითარებს და ესთეტიკურ სიამოვნებასაც მოგვანიჭებს.



ინესა შალვაშვილი
ქართული ენა
მორფოლოგია

304 გვ. | 13.00 ლარი

ნიგნი მოიცავს სტილის საკითხებს, ქართული ენის ძირითად წესებს მორფოლოგია-ორთოგრაფიაში და მასთან დაკავშირებულ სათანადო სავარჯიშოებს, ტექსტის რედაქტირებას, შესრულებული დავალებების ტიპურ ნიმუშებს. ის განკუთვნილია საშუალო სკოლის მოსწავლეების, აბიტურიენტებისა და სტუდენტებისთვის, რომელთაც დაეხმარება ქართული ენის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ღრმად შესწავლასა და გააზრებაში.

კრებულში შეტანილი წერიტი დავალებების თემატიკას საფუძვლად უდევს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საკითხები და ერთიანი ეროვნული გამოცდების მოთხოვნები ქართულ ენაში.




ელიზბარ ელიზბარაშვილი
ქიმია ყველასათვის

190 გვ. | 6.50 ლარი

ელიზბარ ელიზბარაშვილის ნიგნი „ქიმია ყველასათვის“ მოიცავს სამეცნიერო-პოპულარულ სტატიებსა და ესეებს ზოგადი, არაორგანული და ორგანული ქიმიის კანონებსა და საკითხებზე. მასში ნაჩვენებია არაერთი ყოფიტი მოვლენის მჭიდრო კავშირი ქიმიასთან.

ქიმიური საკითხების გადმოცემის ამგვარი ფორმა მიზნად ისახავს ქიმიის დარგის პოპულარიზაციას ფართო მკითხველისათვის. ვიმედოვნებთ, რომ ნიგნი ერთნაირად საინტერესო იქნება როგორც ქიმიით დაინტერესებული მოსწავლეებისათვის, სტუდენტებისათვის, მასწავლებლებისათვის, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის.





ელიზბარ ელიზბარაშვილი
პატივისცემით ქიმიას

106 გვ. | 3.50 ლარი

„როგორ ვუშველოთ ქიმიას?“ – კითხულობს წიგნის ავტორი ერთ-ერთ წერილში და იქვე რამდენიმე საგულისხმო რჩევას გვაძლევს. ჩვენც, თითქოსდა ცხოვრების მარტივ წესს დაჩვეულები, ხშირად ვფიქრობთ: რით შეიძლება დავეხმაროთ ჩვენში ასე ათვალწუნებულ საბუნებისმეტყველო საგნებს, რომლებიც სიღრმისეული აზროვნებისთვის აუცილებელ უნარებს გვძენს?

2013 წელს „ინტელექტის“ მიერ გამოცემული ელიზბარ ელიზბარაშვილის წიგნი „ქიმიას ყველასათვის“ იყო მცდელობა, პოპულარული ენით დაწერილი სამეცნიერო ესეების საშუალებით გაეადვილებინა მკითხველისთვის ამ რთულ, მაგრამ საინტერესო მეცნიერებასთან მისასვლელი გზა.

„პატივისცემით ქიმიას“ ამ ძალისხმევის გაგრძელებაა, რომელშიც დაკვირვებული მკითხველი არა მხოლოდ ქიმიის საიდუმლოებათა გასაღებს იპოვის, არამედ ჩვენს სინამდვილეში მიმდინარე პროცესებისა და ქიმიის უხილავ თუ ხილულ ურთიერთკავშირსაც დაინახავს.



მერაბ ვაჩნაძე
ვახტანგ გურული
მიხეილ გახტაძე
საქართველოს ისტორია

უძველესი დროიდან 1801 წლამდე

248 გვ. | 12.40 ლარი

წიგნში მოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან 1801 წლამდე – რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობამდე.

წიგნი წარმოადგენს 2002-2006 წლებში მოქმედი საქართველოს ისტორიის X კლასის სახელმძღვანელოს შემცირებულ ვარიანტს.



მერაბ ვაჩნაძე
ვახტანგ გურული
მიხეილ გახტაძე
საქართველოს ისტორია

უძველესი დროიდან 1801 წლამდე

(რუსულ ენაზე)

240 გვ. | 7.50 ლარი



მერაბ ვაჩნაძე.
ვახტანგ გურული
საქართველოს ისტორია
XIX-XX საუკუნეები

352 გვ. | 9.50 ლარი

წიგნში მოცემულია საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია (XIX-XX სს.). ამ ორსაუკუნოვან ისტორიაში გამოიყოფა ორი ძირითადი პერიოდი: 1801-1802 წლებიდან, რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობიდან, 1918 წლამდე, ანუ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე და უახლესი ისტორია მოყოლებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან (1918 წლის 26 მაისი).

წიგნი წარმოადგენს 2002-2006 წლებში მოქმედი საქართველოს ისტორიის XI კლასის სახელმძღვანელოს შემცირებულ ვარიანტს.



მერაბ ვაჩნაძე.
ვახტანგ გურული
საქართველოს ისტორია
XIX-XX საუკუნეები

(რუსულ ენაზე)

288 გვ. | 7.50 ლარი



თანამედროვე

პროზა

პოეზია

ესეისტიკა

დრამატურგია

ირაკლი სამსონაძე

ირაკლი სამსონაძე დაიბადა 1961 წელს. 1983 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. 1985 წელს ჟურნალ „ხელოვნებაში“ გამოქვეყნდა მისი პირველი პიესა „შუალამისას“. 1992-1996 წლებში იყო ალმანახ „დრამატურგიის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, ხოლო 1996-1998 წლებში – ამავე ალმანახის მთავარი რედაქტორი.

გამოცემული წიგნები: „ტრიპტიქი“ (პიესები, 2000); „გარეუბანი“ (მოთხრობები, 2003); „ინდაურის კვერცხი“ (2010).

ირაკლი სამსონაძის 15-მდე პიესა დადგმულია საქართველოში მოქმედ ყველა თეატრში. 2007 წელს რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე განხორციელდა პირველი ქართული თეატრალური სერიალი „13-12=1“ (სერი-ალის ავტორი – ირაკლი სამსონაძე, რეჟისორი – ნანუკა ხუსკივაძე, დადგმის ხელმძღვანელი რობერტ სტურუა).

ჯილდოები:

სახელმწიფო პრემია ლიტერატურის დარგში (პიესების კრებუ-ლით „ტრიპტიქი“, 2001).

ლიტერატურული პრემია „კვალი“ (მცირე რომანისათვის – „ყურთბალიში“, 2002).

ლიტერატურული პრემია „საბა“ (მონოპიესისათვის – „ბებო მარიამი, ანუ ტრადიციული ქართული სუფრა“, 2005).

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ფონდის კონკურსის – „ახალი ქართული პიესა“ – პირველი პრემია (პიესისათვის – „კლინიკური ქორწინება“, 2010).

ლიტერატურული პრემია „საგურამო“ ტრილოგიისთვის „ყურთ-ბალიში“, „ლევს საათი“, „ღრუბელი, სახელად დარინდა“ (2012).

ლიტერატურული პრემია „საბა“ მოთხრობების კრებულისთვის „შემკრთალი ქუჩა“ (2013).



ირაკლი სამსონაძე ყურთბალიში

136 გვ. | 3.60 ლარი


ირაკლი სამსონაძის „ყურთბალიში“ გასული საუკუნის 90-იან წლებზე მოგვითხრობს. იმ დროის ამბებზე, როცა „სილატაკით გალახულ“ ქვეყანაში დულს და გადმოდულს „გაჩინოვნიკებულ-გაქორვაჭრებულ“ ცხოვრება. რომანის მთავარი გმირი მწერალია, რომელიც თავს „ყოფილების საზოგადოების“ „ღირსეულ“ წევრად მიიჩნევს და ბოლომდე ვერც ერთ იდეოლოგიას ვერ ეთვისება, რადგან მისი იდეოლოგია ერთი კა-ცის მრწამსია, რომელსაც მხოლოდ სიყვარულმა შეიძლება უკარნახოს სხვასთან გაერთიანება.



ირაკლი სამსონაძე ლევს საათი

316 გვ. | 5.20 ლარი

ირაკლი სამსონაძის რომანი სამი საუკუნის საქართველოს აცოცხლებს ერთი გვარის – ბაგართა – ცხოვრე-ბის კვალდაკვალ. ბაგარები თავის დასამკვიდრებლად ჩამოდიან უცხო ქვეყანაში და მათთვის სულერთია, ვის სამსახურში ჩადგებიან ამ მიზნის აღსასრულებლად, მთავარია დაეფუძნონ, კარ-მიდამო გაიჩინონ, წარჩინებული გვარის ქალი შეირთონ და შთამომავლობა ჰყავდეთ. წიგნის პერსონაჟი, სხვა მოქმედ პი-რებთან ერთად, ენაც არის, რომელიც ეპოქის შესაფერისად სტილიზებულია ავტორის მიერ და ერთ-ერთი კარია მრავალფეროვან, რთულსა და წინააღმდეგობრივ სამყაროში შესაღწევად.



ირაკლი სამსონაძე ღრუბელი, სახელად დარინდა

180 გვ. | 5.90 ლარი

ირაკლი სამსონაძის ახალი რომანი მოგვითხრობს თორმეტი ერთმანეთის მსგავსი ბიჭის განსხვავებულ ის-ტორიას. ისინი დროის ერთ მონაკვეთში შეხვდნენ, საღებავით სავსე ქილები შეახალეს მოლაღატის ძეგლს, შემდეგ კი თითოეულს თავისი ბედი არგუნა განგებამ.

თორმეტი ბიჭის ტრაგიკული ამბავი თაობის, ზოგადად ეპოქის ტრაგიკულ პანორამას ქმნის და ბიბლიური ალუზიით, „მონობის სახლიდან“ გამოსულთა და უდაბნოში ახეტიალებულთა ძველისძველ, ორმოცნობიან გზაზე გვაფიქრებს.



ირაკლი სამსონაძე კომედიიდან ტრაგედიამდე აბსურდის ბილეთით

7 პიესა

332 გვ. | 5.90 ლარი

შვიდი პიესა, რომელიც ირაკლი სამსონაძემ ერთ წიგნად გააერთიანა და „კომედიიდან ტრაგედიამდე აბსურდის ბილეთით“ დაასათაურა, ავტორის ჟანრობრივ ძიებებზეც მიგვანიშნებს და იმ ტენდენციებზეც, რაც პოსტმოდერ-ნული ეპოქისთვისაა დამახასიათებელი. პიესების ეს კრებული მარადისობის პრიზმიდან გვესაუბრება ჩვენი თანამედროვეობის ტრაგიკომიკურ, ხშირ შემთხვევაში, აბსურდულ სინამდვილეზე.




თანამედროვე პროზა პოეზია ესეისტिका დრამატურგია



ირაკლი ლომოური პარიზელი ქალი

170 გვ. | 4.50 ლარი

ირაკლი ლომოურის „პარიზელ ქალს“ შეიძლება ვუწოდოთ მისტიკური რეალობა, გნებავთ, რეალური მისტიკა. წიგნი იწყება სიზმრით, ცხადში გრძელდება და სიზმარ-ცხადით მთავრდება. მთავარი მოტივი უკავშირდება ბერძნულ-კოლხური მითის გაცოცხლებას, ძიებას იმ საიდუმლო სიბრძნისა, რომლის ამოხსნასაც ცდილობს მთავარი გმირი, გასაღები კი ხვამლის მთაშია...



ზაზა ბიბილაშვილი კონგო ანუ ზაირი

124 გვ. | 3.60 ლარი

„ექვსი მაქვს, „კონგო ანუ ზაირი“ სახელსა და დიდებას არ მომიტანს; დარწმუნებული ვარ – არც მატერიალურ კეთილდღეობას. არავისთვის მიმიძღვნია მისი წაწილიც კი. ვერც რომელიმე აქაური ნოველა დაიკვეხნის – მე რომ არ დავგენერე, ჩემს ავტორს შთაგონება გამოზუგავდაო... მოკლედ, აი, ვფიქრობ და ჭკვიანური თუ დამაჯერებელი მოტივი ვერ გამიხსენებია. ამიტომ – თუნდაც ჩემზე მეტად გაგიკვირდეს – თითქოს გამოდის, რომ ეს წიგნი (მართლაც) შენთვის დანერილა, მკითხველო.

...ამ ნოველებისგან მოსალოდნელი სარგებელი კი, პა-პა, წამკითხველის ხასიათის გაუმჯობესება იყოს. პაერზე არ ვამბობ – ყველა წაკითხული მაქვს, თანაც – რამდენჯერმე. ანუ შეგიძლია, სიტყვაზეც მენდო“

ავტორის წინასიტყვაობიდან



ირაკლი ჯავახიშვილი შავი სიის კავალერები

108 გვ. | 5.50 ლარი

„ბუენისა და ინანიშვილის მოყვარულებს სიურპრიზი ელით – ერთი შეხედვით მათ გზაზე მოსიარულე კაცი ბულვარულ რომანს წერს. არ შედგა ბულვარული რომანი. განა ამ ჟანრის რომელიმე კომპონენტი აკლია მას, განა ერთი ამოსუნთქვით არ იკითხება იგი? სულ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. გრძნობებისა და ქმედებების ავტორისეული ანალიზი ფლირტს სიყვარულად აქცევს, დრამას – ტრაგედიად. ნაპოვნია უმოკლესი გზა მკითხველამდე. მაღალი კლასის ლიტერატურა „საკითხავის“ ფორმით არის მოწოდებული. უმძლავრესი კონკურენტები – ტელევიზია და კომპიუტერი – ცოტა ხნით იხევნ უკან, დროის იმ მონაკვეთით, რაც ირაკლი ჯავახიშვილის „შავი სიის კავალერების“ წაკითხვას სჭირდება“


ზაალ სამადაშვილის წინასიტყვაობიდან



ზურაბ ლეჟავა ჯადოსნური ცხვირსახოცი

234 გვ. | 3.50 ლარი

წიგნში თავმოყრილი ხუთი მოთხრობა ბევრ დასამახსოვრებელ და სახალისო ეპიზოდს სთავაზობს მკითხველს. უჩვეულო, დაუჯერებელი ისტორიებიდან იქმნება ზურაბ ლეჟავას ფანტასმაგორიული სამყარო: ცოცხლები გარდაცვლილებთან თანაარსებობენ, გლადიატორის მოკვეთილი თავი ენას ამოიდგამს, მღვიმის ჩანთოსანი დრაკონი რუსული ავიაგამანადგურებლისგან იცავს საქართველოს საჰაერო სივრცეს, ხოლო ძეგლები ადამიანთა მხარდამხარ იბრძვიან.



1



2



3

1 ზვიად კვარაცხელია ჭაე

188 გვ. | 3.00 ლარი

2 ირაკლი ჯავახიშვილი სამი ძველი მოთხრობა

174 გვ. | 3.00 ლარი



4



5



6



7

პროზა

3 რუსა ამირეჯიბი ხმა

224 გვ. | 6.00 ლარი

4 ცირა ყურაშვილი ხიზნები კომანის მონასტერთან

174 გვ. | 4.00 ლარი

5 ზვიად კვარაცხელია ყიფლიბანდი

212 გვ. | 2.60 ლარი

6 მიხო მოსულიშვილი სულის მდინარე

194 გვ. | 4.00 ლარი

7 ლია სტურუა რამ შეჭამა ვენახი?

102 გვ. | 3.60 ლარი

8 ნინო ძაღაბიძე ცერცვის ტოლა ამბები

128 გვ. | 3.70 ლარი

9 ბაქა ელბაძე Homo Televisus

254 გვ. | 2.00 ლარი

10 გიორგი შარვაშიძე ჩემი იერუსალიმი

178 გვ. | 2.00 ლარი

11 მარიამ ხიფშელი ფეთქავს


228 გვ. | 2.00 ლარი




8




9



10



11



ქართული იბავური პროზის ანთოლოგია

208 გვ. | 9.80 ლარი

შეადგინა თამაზ ვასაძემ

ანთოლოგიაში ტრადიციული ლიტერატურული ჟანრების – იგავის და არაკის ნიმუშებთან ერთად წარმოდგენილია მოთხრობები, რომლებიც მხატვრული ბუნებით, წყობით იგავის ტიპისაა, იგავურია. ევროპულ ტერმინს თუ გამოვიყენებთ, მათ პარაბოლები უნდა ვუწოდოთ. ამგვარ ნაწარმოებებში გადმოცემული რეალის-ტური ან ზღაპრულ-ფანტასტიკური (არაკისებური) ამბავი, ისტორია სიმბოლოს ხასიათს იძენს – მასში სიმბოლური სახით არის ფორმულირებული სამყაროში, ადამიანების სულიერ, ზნეობრივ, სოციალურ არსებობაში მოქმედი ზოგადი კანონზომიერება, ინტელექტუალური ხედვით გამოკვეთილი ზოგადი აზრი ამ არსებობის შესახებ.

წიგნში გაერთიანებული ნაწარმოებები ისევე მრავალგვარია, როგორც ადამიანთა ცხოვრება და მისი მხატვრული გააზრების და გამოსახვის შესაძლებლობები.

ანთოლოგიაში შესულია სულხან-საბა ორბელიანის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშავე-ლას, ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელის, გიორგი ლეონიძის, გურამ რჩეულიშვი-ლის, რევაზ ინანიშვილის, ნოდარ წულეისკირის, რეზო ჭეიშვილის, შოთა ჩან-ტლაძის, ერლომ ახვლედიანისა და ირაკლი სამსონაძის ნაწარმოებები.

ბიჭიკოს ავადმყოფოების ისტორია

მოთხრობები საბჭოთა საქართველოზე


372 გვ. | 12.40 ლარი

შეადგინა თამაზ ვასაძემ

ეს წიგნი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი განსაკუთრებულად დრამატული, საბედისწერო ეპოქის ლიტერატურული ანარეკლია. ლიტერატურა ისტორიის ყველაზე მართალი მოწმეა, ყველაზე უანგარო, საიმედო შემნახველია და წიგნში წარმოდგენილი ქართული ლიტერატურის მრავალფეროვანი ნიმუშებიც უტყუარად ამტყველებენ ჩვენს უახლოეს ისტორიულ წარსულს.

ქართველი მწერლების მოთხრობები შესაძლებლობას გვაძლევენ, უშუალოდ მივადევნოთ თვალი საბჭოთა საქართველოს ისტორიის ეტაპებს, უშუალოდ ვიგრძნოთ და დავინახოთ საქართველოს ცხოვრება კომუნისტური რეჟიმის პირობებში, ამ რეჟიმის სხვადასხვანაირად გამოვლენილი ავადმყოფური ბუნება. მოთხრობების პერსონაჟთა სახეები, მათი ხვედრი მკვეთრად აღიბეჭდავს ადამიანის ბედს საბჭოთა საქართველოში.

კრებულში შესულია ლეო ქიაჩელის, ნიკოლო მინიშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, დემნა შენგელაიას, გიორგი ლეონიძის, ოთარ ჩხეიძის, რეზო ჭეიშვილის, ნოდარ დუმბაძის, გურამ რჩეულიშვილის, შოთა ჩანტლაძის, რევაზ ინანიშვილის, ჯემალ თოფურიძის, ნოდარ წულეისკირის, ჯემალ ქარჩხაძის, ვლადიმერ სიხარულიძის, ირაკლი ქასრაშვილისა და ნუგზარ შატაიძის მოთხრობები.



საბავშვო



მუხრან მაჭავარიანი

ბიჭო არ შემარცხვინო!

256 გვ. | 6.50 ლარი

შემდგენელი და რედაქტორი – ნანა მაჭავარიანი


„ამ წიგნს ვუძღვნი ჩემი დიდებული ქვეყნის მოსწავლე ახალგაზრდობას, დღევანდელი დღით რომ ხარობს და იმედის თვალით უმზერს მომავალს“.

ეს მუხრან მაჭავარიანის სიტყვებია, ერთ-ერთი თავისი წიგნისათვის წამ-ძღვარებული.

იმ წიგნის გამოცემიდან უკვე დიდი ხანია გასული. მაშინდელი ახალგაზრდები ახლა ჭარმაგნი არიან. მათ შვილებსა და შვილიშვილებსაც გვინდა შევძახოთ „ბიჭო, არ შემარცხვინო!“ – როგორც მიმართავდა, ჩვენი სამშობლოს – საქართველოს – სა-ხელით, პოეტი ყმანვილებსა და ჭაბუკებს თავის ერთ-ერთ ლექსში.

წიგნში შესული ლექსები ძირითადად თარიღიანია. უთარილონი კი 1946-1956 წლებშია შექმნილი.

წიგნი ეძღვნება მუხრან მაჭავარიანის დაბადებიდან 85-ე წლისთავს.



მუხრან მაჭავარიანი

მთიები

92 გვ. | 16.50 ლარი

„წინამდებარე კალენდარი შენთვის 40 წლის წინ შეადგინა ქართველმა პოეტმა მუხრან მაჭავარიანმა.

მაშინ დროთა სიავის გამო ამ წიგნაკს დღის შუქი არ ეღირსა. საბჭოთა ხელისუფლების მესვეურთა ბრძანებით სტამბაშივე დაჭრეს მთელი ტირაჟი, გადარჩა მხოლოდ რამდენიმე ეგზემ-პლარი.

თავად მუხრან მაჭავარიანი აპირებდა კალენდრის ხელმეორედ გამოცემას, რადგან სადღეისოდაც აქტუალურად მიაჩნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ დასცალდა.

ვისთვისაც ეს ნაშრომი იყო განკუთ-ვნილი, ახლა ისინი ბებები და პაპები არიან, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათთვისაც და მათი შვილებისა თუ შვილიშვილებისათვისაც, ვფიქრობთ, ეს კალენდარი საინტერესო და სიკეთის მომტანი იქნება“.

ნანა მაჭავარიანის წინასიტყვაობიდან



ნატალია ნადირაშვილი

ახალი ძველი ზღაპარი

56 გვ. | 4.30 ლარი

გაინტერესებთ, რამ შეაშინა პატარა მარიკელა „წითელქუდას“ მოსმენისას? რატომ გაუწყრა დედიკო სპილო შვილიკო სპლიყვს? გინდათ იცოდეთ, როგორ გაუჩნდათ ზღარბებს ეკლები? გინდათ გაიგოთ, როგორ აისრულა მამაცმა უფლისწულმა სანუკვარი ოცნება? ამ შეკითხვებზე პასუხს მაშინვე მიიღებთ, როგორც კი ნაიკითხავთ ცნობილი მთარგმნელის, ნატალია ნადირაშვილის საბავშვო ლექსებისა და ზღაპრების კრებულს – „ახალი ძველი ზღაპარი“.

ილუსტრაციების ავტორია ირინა ცინცაძე.



ანიკა მაქანიკური

სახლების მოშინაურება

104 გვ. | 4.35 ლარი

„ანიკა მექანიკურის მოთხრობები მანდარინის გემოიან საღამოებს ჰგავს, მზიან ამინდში წყალზე თვალდახუჭულ ტივტივს, კიდევ სიზმრის თევზს ან თუნდაც სიზმარჩიტას; ზოგჯერ ომის ძარღვიან, იარაღის ჭერისგან დაკოჟრილ ხელებს, ჯიბეში საიდუმლოდ ჩაცურებულ ირმებიან სათამაშოს ან სულაც ბაბუაწვერას მინაში ჩარგვით გაცოცხლებულ სურვილს, დედის მოლოდინს, მამას მიმსგავსებულ ხესთან ატირებას, მანათობელ ფორთოხლებს...“

მის სამყაროში გრძელთმიან ბებიებს, გოგოდედებს, ჭრელკაბიან ქალიშვილებს და დიდი ადამიანის-თვალეზიან ბავშვებს კაბაზე აცოცხლები ჭიანჭველ-ები, დაშაქრულ-შემწვარი ვაშლები, თბილი რძის სურნელი, პიტნის ჩაი, შავი ბურკა, ზოგჯერ კი ზღვის წყლით ავსებული წყლის პისტოლეთი აკავშირებს და აერთიანებს.

როგორ გინდა გაუძლო? – მარტივ რჩევას მოგცემთ: გრამატიკის მკაცრი კანონები უნდა დავიწყოთ, სტილისტურ ჩარჩოებზე უარი თქვათ, მერე კი ბევრი დაითმინოთ, ყველა ნაბიჯი ერთი ზომისა გადადგათ, თავდახრილმა იაროთ, ნასიზმრალი თვალები რომ არავის აჩვენოთ; არც ბნელ აღმართს შეუშინდეთ, არ იფიქროთ, რომ გზას ხელზე გადაიხვევს ვინმე და ფეხქვეშ მიწას გამოგაცლით. აკი, ანიკაც ასე იქცევა, სჯერა, რომ ყველაფერი სიზმარია და მხოლოდ ეს მზიანი დღე, ჭიანჭველების სიცოცხლე და ჩვენი ხელების ჩაიედებაა სინამდვილე. ჯერ არ იცის, თავიდან ბოლომდე რომ მიწისაა, ამას მერე გაიგებს.

სახლების მოშინაურება თუ გსურთ, ანიკას მკითხ-ველი უნდა გახდეთ. მერე კი, კითხვის პროცესში, ზღვის და მანდარინის სურნელს რომ იგრძნობთ, ჩათვალეთ, რომ ყველაფერი კარგად არის“

მაკა ლდოკონენის წინასიტყვაობიდან



საბას
პრემიის
ლაურეატები



სალომა ბენიკა
მოხსენებითი ბარათი
წლის საუკეთესო დებიუტი 2012



ირაკლი სამსონაქი
შემკრთალი ქუჩა
წლის საუკეთესო პროზაული კრებული 2013



ზვიად კვარაცხელია
ფორმა N100
წლის საუკეთესო რომანი 2014



ზვიად კვარაცხელია
ფორმა N100
წლის საუკეთესო რომანი 2014



ზვიად კვარაცხელია
ფორმა N100
წლის საუკეთესო რომანი 2014



სალომა ბენიკა
მოხსენებითი ბარათი
94 გვ. | 3.60 ლარი

ეს წიგნი, წიგნი რომ არ იყოს (ანუ აბზაცებით, მსხვილი სათაურებითა და რომელიღაცა შრიფტით შევსებული თეთრი ფურცლების ნაკრები), ფოტოალბომი იქნებოდა – ერთი ავტორის ფოტოჩანახატებით სავსე – ფოტოისტორიები, ფოტოპორტრეტები, ფოტოგანწყობები, ფოტომოგონებები, ფოტოალმოჩენები, ფოტოსახელები, ფოტოქალაქები და ფოტოადამიანები. მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ეს წიგნია, თანაც ძალიან კარგი ლექსების წიგნი, რაც თქვენი, როგორც მკითხველის შრომას ართულებს, თუმცა როლს უფრო მნიშვნელოვანს ხდის.




ირაკლი სამსონაქი
შემკრთალი ქუჩა
212 გვ. | 3.60 ლარი

ირაკლი სამსონაქის მიერ ბოლო წლებში დაწერილ ნოველებს შეიძლება ერთდროულად მკაცრიც ვუწოდოთ და ნოსტალგიურიც. ეს წიგნი ცხოვრებაზეა – ყოველდღიურ მოძრაობაზე, მიმქრალ და ჩაკარგულ ადამიანებზე, რომლებიც მწერალს დაეინყებინათ არ ემეტება.

თითოეული შტრიხი, პერსონაჟებისგან ნათქვამი სიტყვა თავს იმისთვის იყრის, რომ ნამდვილი ოსტატის ხელში შთამბეჭდავ, ორიგინალურ სურათად გამოვლიანდეს.

ამ სურათზე სახელმილიანი პოლიტიკოსის მოულოდნელი გამოჩენით შემკრთალი ქუჩაცაა, მექათმე გაბრიელის თავადერილი ინდაურებიც და „ტკივილში გამოტარებული შვებაც“, რომელიც ძნელ დროზე დაწერილ წიგნს იმედით ავსებს.



ზვიად კვარაცხელია
ფორმა N100
222 გვ. | 3.90 ლარი

ზვიად კვარაცხელიას რომანი „ფორმა N100“, შეიძლება ითქვას, ერთი ცოდვის ისტორიაა. საერთო ცოდვა, რომელიც ნაწარმოების რამდენიმე პერსონაჟს (მათ შორის მთხრობელსაც), აუცხოებს და ამავე დროს აკავშირებს კიდეც ერთმანეთთან, რომანის მთავარი სიუჟეტური ქარგაცაა და ავტორისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი კვლევის ობიექტიც.

ყმანვილობაში ჩადენილი ცოდვა – მიზეზი და შედეგი ამ ცოდვისა, აი, ამაზე მოგვითხრობს მწერალი. მოგვითხრობს ტკივილით, საინტერესოდ, რიგ შემთხვევაში დეტექტიური ჟანრის სიმძაფრითაც.



გოგი ჩაგელიშვილი
მხატვარი
264 გვ. | 8.90 ლარი

„გოგი არის ნაღდი მწერალი. ნაღდი მწერალი მყისვე გამოიცნობა დაკვირვების სიზუსტით, საგანში წვდომის სიღრმით. ეს უნარი გოგის ფართოდ აქვს მომადლებული და ამჟამადაც მიმაჩნია, რომ ამ ბოლო დროს სამწერლო ასპარეზზე გამოსულთა შორის გოგი არის ერთ-ერთი უძლიერესი. მისი წიგნი მრავალმხრივ ჩამოყალიბებული ძლიერი თხზულებაა“ (გურამ გეგეშიძე).

კრებულში შესულია რამდენიმე მოთხრობა 2006 წელს გამოცემული წიგნიდან, თუმცა კრებულის დიდ ნაწილს მხატვრისა და მწერლის ახალი, გამოუქვეყნებელი მოთხრობები შეადგენს.



ზვიად კვარაცხელია
ფორმა N100
96 გვ. | 5.20 ლარი

„მეკითხებიან: რატომ წერ? და ამ კითხვასა და ჩემს სხეულს შორის აღმართულ პუნქტუაციის კუზიან უფსკრულს შიშით ჩავყურებ“, – ეს „ძალიან პაატა შამუგიას“ დღევანდელი სიტყვებია, გუშინ, მისივე თქმით, „ცოტათი პაატა შამუგია“ რომ იყო და კაცმა არ იცის, ხვალისთვის რას გვიშადებს, რას უნდა ველოდეთ ამ თამამი ექსპერიმენტების მოყვარული პოეტისგან.

ენობრივი თამაშები, კომიკურის და ტრაგიკულის ოსტატური სინთეზი – პაატა შამუგიას სახასიათო სტილი და პოეტიკა ამ წიგნშიც გრძელდება. თუმცა, „შიზოგადობა“ ავტორის წინამორბედი კრებულებისგან თვისებრივად განსხვავებულია. ამ განსხვავებას მკითხველი თავად ნახავს, როცა ნაიკითხავს და „შიზოგადობის“ სრულუფლებიან ნევროზს მოიპოვებს.

თანამედროვე
პროზა
პოეზია
ესეისტიკა
დრამატურგია



გელა ჩქვანავა
ფიქსაცხი

264 გვ. | 4.50 ლარი

გელა ჩქვანავა ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი თანამედროვე ავტორია.

ამ წიგნში შესულია მის მიერ ბოლო წლებში დაწერილი და ლიტერატურულ პერიოდიკაში გამოქვეყნებული საუკეთესო მოთხრობები.



ჯემალ თოფურიძე
დიოსკურია ზღვაში ჩაძირული
ქალაქია და სხვა მოთხრობები

300 გვ. | 7.00 ლარი

„ჯემალ თოფურიძე უაღრესად ადამიანური მწერალია. მან შესანიშნავად იცის, რომ მხოლოდ თანაგრძნობამ შეიძლება გადაარჩინოს პიროვნება. თვითონ მწერლის დამოკიდებულება უაღრესად თავისებურია პერსონაჟების მიმართ. მას აქვს თანაგრძნობაც, ტკივილიც, ნატიფი ირონიაც, მაგრამ აქვს აგრეთვე რალაც ისეთი, რასაც ძნელია სახელი დაარქვა და რაც საკმაოდ შეუმჩნეველიცაა.

ეს არის სურვილი არსებობის აზრის ძიებისა. ეს სურვილი გაუცნობიერებლად ვლინდება მის პერსონაჟებში და ზღვრულ სიტუაციებში იჩენს თავს, როგორც მოყვასისადმი სრული თვითგაღება“ (ბექა ქურხულის წინასიტყვაობიდან).



გვანცა ჯოგავა
Check-in

238 გვ. | 4.60 ლარი

გვანცა ჯოგავას „Check-in“ დროსა და სივრცეში მოგზაურობაზე მოგვითხრობს. ეს იშვიათი შემთხვევაა – იმ განცდებისა და შთაბეჭდილებების უმეტესობას, რაც შეიძლება ლექსად ქცეულიყო, პოეტი დაუფიქრებლად შეელია და ახლა ჩვენ წინაშეა სამოგზაურო რომანის ყალიბში მოქცეული დაუნერული ლექსები.

„Check-in“ სულ იწერებოდა, ავტორის ბავშვობიდან მის დღევანდელ დღემდე, და არა მხოლოდ ერთი ადამიანის ბიოგრაფიისთვის, არამედ მათთვისაც იქნება მნიშვნელოვანი, ვისაც ბოლო წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული და საგამომცემლო ცხოვრება აინტერესებს, ან უბრალოდ ახალი ნაცნობების შეძენა და ევროპის თვალსაჩინო ადგილებში მოგზაურობა სწყურია.





ლადო კილასონია
ბრონქსური ისტორია ოქრო
სუბნურად

252 გვ. | 5.20 ლარი

„ლადო კილასონიას პირველად ლიტერატურული გაზეთის ძველ რედაქციაში შეეხვდი. ყიფშიძეზე. ფანჯარასთან იდგა. რავი, ახლა აღარ მახსოვს, რა ამბავი იყო, ალბათ, ჰონორარზე ვიყავით მისულები. იმავე ლიტერატურული გაზეთის ფოტოდან ვიცანი, ლადოს მოთხრობები მომეწონა და ფოტოც ამიტომ დამამახსოვრდა. „შენ პლენაროველი ხარ-მეთქი, ხო?“ – ვკითხე. ზუსტად მოვარტყი. „პლენაროვი“, ოქროს უბანი, ვაგზლის მოედანი, „დინამოს“ სტადიონი, მუშტაიდის ბაღი – ასე ნაცნობი და ახლობელი მტკვარგალმა უბნები, ათასჯერ რომ გვიბოდილია იქ მთვრალეს თუ ფხიზლებს, თითქოს ყველაფერი ნაცნობია, სინამდვილეში კი ყოველ იტალიურ ეზოს, ყოველი სახლის თალსა და კუთხეს თავისი განუმეორებელი სურნელი მოჰყვება, თავისი განუმეორებელი იდუმალეობა ახლავს და დღემდე ათას სისხლიან ამბავსა და ტრაგედიას ინახავს გულში საიდუმლოდ. აი, სწორედ ეს გაღმური იდუმალეობა და ამბები მოდიოდა ლადო კილასონიას მოთხრობებიდან და მაგიტომაც მიეხვდი, თორემ მკითხავი კი არა ვარ. „კიო, – ლადომ, – გაღმელი ვარ, ოქროსუბნელიო...“

ბექა ქურხულის წინასიტყვაობიდან



1 გიორგი არაგული
გზაზე გასვლა
56 გვ. | 3.60 ლარი

2 გვანცა ჯოგავა
კარდიოგრამა
90 გვ. | 2.00 ლარი

3 ალექსანდრე
ლორთქიფანიძე
გამჭვირვალე
64 გვ. | 3.30 ლარი

პოეზია

4 ნუკრი გერეთელი
ჩიხი
94 გვ. | 2.00 ლარი

5 გურამ ოდიშარია
საგალობლები შენთვის
304 გვ. | 5.50 ლარი

6 სოსო მეშველიანი
ღამესასწაული
94 გვ. | 2.60 ლარი

7 ჟანა ოთხვანი
ჩაგრულთა ლოცვა
208 გვ. | 3.60 ლარი

8 ქეთი ნიჟარაძე
გზავნილები ბეგბედერს
54 გვ. | 2.00 ლარი

9 ქეთი ნიჟარაძე
ფრ'ენა – პასუხები ბეგბედერს
86 გვ. | 2.00 ლარი

10 ქეთი ნიჟარაძე
წაუკითხავი ლექსები
130 გვ. | 2.50 ლარი

ნინო სადღობელაშვილი

ნინო სადღობელაშვილი დაიბადა 1980 წელს, თბილისში.

2002 წელს დაამთავრა კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი, ლიტერატურული დაოსტატების სპეციალობით (სახელოსნოს ხელმძღვანელი – ვახუშტი კოტეტიშვილი).

მუშაობდა საპატრიარქოს რადიოს ლიტერატურულ რედაქციაში, ასევე – პედაგოგად.

გამომცემლობა „ინტელექტმა“ გამოსცა ნინო სადღობელაშვილის მოთხრობების კრებული „ბამბაზიის სამოთხე“ (2006) და ლექსების კრებულები „შუალამის იავნანა“ (2008), „ფრთები და ხელები“ (2011), მოთხრობების წიგნი „იასამნის სეზონი“ (2013) და სამი რომანი – „ორსული“, „თავშესაფარი“, „წამი აქა, წამი იქა“ (2014).

2007 წელს, ქუთაისის ლადო მესხიშვილის დრამატულ თეატრში რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ დადგა ნინო სადღობელაშვილის პიესა „ბამბაზიის სამოთხე“. 2010 წელს, ავთო ვარსიმაშვილის პროდიუსერობით, გადაიღეს ამავე სახელწოდების ფილმი.



ნინო სადღობელაშვილი
ფრთები და ხელები

144 გვ. | 2.50 ლარი

ნინო სადღობელაშვილი თანამედროვე პოეტია. არც ტრიბუნაზე დგას, არც შოუს მონაწილეა, არც ბარიკადებზე მებრძოლი, არც საყდრულ მყუდროებას შეფარებული განდეგილი. თანამედროვეა იმდენად, რამდენადაც ძნელ დროში ცხოვრობს, ძნელ დროს აღწერს და ცდილობს, ადამიანად ყოფნის პოეზია შეინარჩუნოს და აქციოს თანამედროვე ლექსად, რომელიც ახლა იწერება და დღევანდლობის ფერი აქვს მარადიული მემკვიდრეობის ნიშნით.



ნინო სადღობელაშვილი
იასამნის სეზონი

154 გვ. | 2.00 ლარი

ნინო სადღობელაშვილს ფიქრის, აზრის, სიტყვის, ემოციის „სხვა“ ნიალი აქვს, ამიტომ მისი პერსონაჟები არც „აქ“ არიან, არც „იქ“, არც ისე განყენებულ სააზროვნო სივრცეში, არც ისე კონკრეტულში, ისინი სიღრმეებში არიან, თანაც არა გადავიწყებულ სიღრმეებში, არამედ გადამალულში, ჩამტკბარში, მოტკბილმწაროში, ცოდვამადლიანში...

ეს ნოველები თითოეული ჩვენგანის სათქმელია, საფიქრალია, აღსარებაცაა, სულში რომ ყველას ტკბილი სიღრმეები გვაქვს, იმის აღიარებაა, იმის გახსნაა. ამ ნოველების ნიაღში ისეთი სიმართლეა, რომ გიფიქრია, მაგრამ სათქმელად ვერ გაგიმეტებია, ან ვერ გაგიბედავს...



ნინო სადღობელაშვილი
წამი აქა, წამი იქა

206 გვ. | 5.50 ლარი



ნინო სადღობელაშვილი
ორსული

276 გვ. | 4.00 ლარი



ნინო სადღობელაშვილი
თავშესაფარი

108 გვ. | 2.00 ლარი

პოეზია



ზაზა ბიბილაშვილი ჩემი მდოგვის მარცვალი

156 გვ. | 2.00 ლარი



ზაურ ბერგაძე არ წამიკითხო, თუ შეიძლება!

148 გვ. | 2.00 ლარი




არაბულები პოეზია

132 გვ. | 5.50 ლარი

რა არის პოეზია? რას ნიშნავს, როცა გასული საუკუნის პოეტებს თანამედროვე პოეტებს უწოდებენ? როდის ბერდება (ან თუ ბერდება საერთოდ) ლექსი ან რამდენად ცოცხალია ის წლების მერე? რამდენად ჰგავს ერთი გვარის პოეტების ერთსა და იმავე გარემოში დაწერილი ლექსი?

სწორედ ამ შეკითხვებს ვეცდებით გავცეთ პასუხი კრებულით, სადაც ერთი გვარის – არაბული – პოეტებია გაერთიანებული. ავტორები, რომლებიც გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან იბეჭდებოდნენ ლიტერატურულ პერიოდიკაში.

გიორგი არაბულის მიერ შედგენილი ეს წიგნი 14 პოეტის (აღუდა არაბული, ბალათერ არაბული, ბერდია არაბული, გელა არაბული, გიორგი არაბული, გოგიტა არაბული, თემო არაბული, ირაკლი არაბული, კობა არაბული, მერაბ არაბული, მინდია არაბული, მინდია არაბული, ნოშრევან არაბული, შაბურა არაბული) ხელახლა, განსხვავებული ფორმით შესხენებაა მათი შემოქმედების თავიდან აღმოჩენის სურვილითა და იმედით.




ნატო ინგოროყვა Porcellanae პოეზია

72 გვ. | 3.00 ლარი

პოეტური ალქიმიის შედეგია სიტყვა, რომელიც საგნისა და მოვლენის არსს პირვანდელ აზრს უბრუნებს – ნატო ინგოროყვას კრებულში ამ ალქიმიის საიდუმლო პროცესსაც დაესწრება მკითხველი და შედეგსაც „ინვენეს“. ეპისტოლური განწყობის ლექსებს ერთი საერთო ადრესატი ჰყავს, ვისთვის უზენაესი, ვისთვის სატრფო, ვისთვისაც – უბრალოდ მოყვასი, ვის გამოც „ფორმაცვალებადი სიტყვა ყოფნა“ სხვა მნიშვნელობას იძენს... ვისაც გულწრფელი ვნებით მიმართავს პოეტი: „დამრგე ლეღვის ხედ, და მის ტოტებში არბენინე რძე, რომელიც დააშრე ჩემში“...

სულის უღრმესი შრეებიდან ნაგრძნობი სამყარო; გამჭვირვალე, ამოტრიალებული მზერა; ტკივილის ზღვარზე მოტივტივე ყოფის ასახვა – ეს ყოველივე კრებულს ლიტურგიის ფარულ მელოდიას სძენს და სიტყვიდან სიტყვაში აცოცხლებს გვარიანად მივიწყებულ ადამიანურ განცდებს, სიყვარულის რელიგიით მსჭვალავს და აკანონებს ერთი შეხედვით შეუძლებელ მოვლენებს. პოეტი ამასაც განმარტავს: „და თუ პირველად იყო სიტყვა – მე ვწერ შენს სახელს“.

ეს სახელი ჰქვია ნატო ინგოროყვას პოეზიას




თემურ ჩხეტიანი შებრუნებული ძილის სიზმარი

102 გვ. | 3.00 ლარი

რა შეიძლება ითქვას ახალი თემურ ჩხეტიანზე, „ჩემ პოეტზე“ (როგორც საკუთარ თავს უწოდებს ხოლმე), რომლისთვისაც პოეზიის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი არსებობს – ლექსი უნდა სუნთქავდეს. ავტორზე, რომელმაც პირველი პოეტური კრებული 27 წლის წინ, 1987 წელს გამომცემლობა „მერანში“ გამოსცა და მას შემდეგ პოეტის ბედისწერას თუ უბრალოდ ცხოვრების ქარტეხილებს სოფელ ვაჩნაძიანში უმკლავდებოდა. თუმცა კი, ბოლო დროს, სოციალური ქსელის წყალობით ჩვენი ყოველდღიურობის აქტიური წევრი გამხდარა.

„შებრუნებული ძილის სიზმარი“ თემურ ჩხეტიანის მეშვიდე კრებულია. მისი პოეტური ენა კვლავაც შესაშურად სადა და ბუნებრივია, რაც დღევანდელი მძიმე ყოფისგან გადღლილ საზოგადოებას თანამედროვე პოეზიისთვის დამახასიათებელ რთულ მეტაფორებსა და გამოხატვის ფორმებზე ჩივილის უფლებას არ უტოვებს.




თორნიკე ჭელიძე კონცენტრიკული წრეები

68 გვ. | 2.00 ლარი

თორნიკე ჭელიძის სადებიუტო პოეტური კრებული ცხოვრებაზეა, რომელიც, მისი თქმით, „დილის სიზმრიდან გამოსვლას ჰგავს... რაღაც მაინც რომ შემოგრჩება: სურნელი, ან სიტყვა, კადრები“, ბავშვობაზეა, რომელიც „ოთახის ერთი კუთხიდან გამოგყურებს... და ყურებზე იფარებს ხელებს“, სიკვდილსა და მარტოობაზე, როცა ხშირად ასე გეუბნებიან: „მის მოსვლამდე არაფერი გეტკინოს... ჰოდა, შენ ზუსტად მის მოსვლამდე გტკივა“.

თორნიკე ჭელიძე დაუწერელ ლექსებზეც გვიყვება, რომლებიც გამარჯვებულ ჯარისკაცებს აგონებენ, „მტერს რომ უკანალს უჩვენებენ და იცინიან“. თუმცა მისი უკვე დაწერილი ლექსებიც ჯარისკაცები არიან, საპირისპირო მხარეს მეზრძოლი მეომრები. მეომრები, რომლებიც იმ ომებზე მოგვითხრობენ, „მკვდრის წინ რომ უცბად სიცილს დაიწყებ და ცოცხლებთან აგეტირება...“



ნიმ ნადირაძე ჩემო ცვილის ქვეყანავ

76 გვ. | 3.50 ლარი

რადგანაც „ადამიანებს მხოლოდ იმ ამბების სჯერათ, რაც მათ გადახდათ“, ნიმ ნადირაძის ახალი პოეტური კრებული სწორედ მათთვისაა – ადამიანებისთვის და მათ ამბებზე: როგორ ანთებენ თავსხმა წვიმაში სიყვარულის ცეცხლს და მერე დიდი წვიმების შემდგომი სიჩუმე ეცოტავებათ, როგორ უგულოდ მიაქვთ პანაშვიდებზე ერთნაირი ყვავილებს, შემდეგ კი ქარიან ღამეში ცოცხალი ადამიანების საძებნელად მიდიან და აღარ ბრუნდებიან.

ჩვენს კარგ ქვეყანაში ცვილის ადამიანებს დაუდიათ ბინა. აქ ცა სკოჩისაა და იმ ადგილას, სადაც ღმერთი ცხოვრობდა, აბრაა მიჭედებული მინიშნებით, რომ ღმერთი სხვაგან გადავიდა. ადამიანებს კი პროფესიად სიკვდილი აურჩევიათ. სიკვდილი, რომელსაც ასეთი სამსახური რომ არ ჰქონდეს, უთუოდ კეთილი იქნებოდა.

მაგრამ მიდის ტყის კაცის სახლამდეც, იმიტომ, რომ თუკი ოდესმე იავნანამ რამე ჰქნა, მაშინ ტყის კაცის ცოლის იავნანასაც უნდა შესწევდეს ამის ძალა. თანაც, რატომ ვართ ასე დარწმუნებული, „რომ იმ ფანჯრიდან, რომელშიც შუქი არ ანთია, არავინ გვიმზერს“.



სალომე ბენიკა ამბავი უძინართა

110 გვ. | 3.60 ლარი

„ამბავი უძინართა“ სალომე ბენიკის ახალი, რიგით მეორე პოეტური კრებულია. ამჯერად ავტორი უძილო ღამეებიდან გვიყვება ამბავს უძინართა, უპოვართა, უსამშობლოთა, თვითმკვლელთა შესახებ, შეუძლებელ მომავალზე. ერთ-ერთ ლექსში, რომელიც განსაზღვრავს კრებული კონცეფციას, ვკითხულობთ: „ბევრჯერ მინახავს, გზები თვალეებს როგორ ახელენ და ბევრჯერ მითქვამს, რომ ამ ღამეს ვერ გავათენებ და მიფიქრია – დილის ხუთზე ჩვენი სახლები გვანან ქალაქში გზადაკარგულ ციციანთელებს“.



ლიანა ელიაშა ლექსები

206 გვ. | 7.40 ლარი

კრებულია, სადაც შესულია 1993-2013 წლებში, ანუ ოცი წლის მანძილზე, თბილისში, მოსკოვსა და პელსინკში შექმნილი ნაწარმოებები.

მიუხედავად გეოგრაფიულ სივრცეში, კავკასიიდან სკანდინავიამდე, განფენილობისა, ლექსების უმეტესობა გამსჭვალულია ეროვნული სულით და ინტონაციურადაც მისი შესატყვისია.

რჩეული ლექსები ამოკრეფილია სამი წიგნიდან: „კავკასიური მისტერია“ (1997), „საუკუნის სამანი“ (2002), „სიყვარულის მისტერიები“ (2008) და დალაგებულია წლების თანმიმდევრობით, თემატურ ციკლებად: „სამშობლო“, „სიყვარული“, „ბედისწერა“, „კავკასიური მისტერია“, „უხანო სიმორე“, „ჩემი სკანდინავია“, „ქარის პოემა“.



ნოდარ დუმბაძე
თეთრი ბაირაღები

260 გვ. | 8.00 ლარი

საბჭოთა სისტემის, როგორც დახშული და უღმერთო სივრცის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი ნოდარ დუმბაძის „თეთრ ბაირაღებში“ ისეთ ადამიანურ პლასტიკაში ვლინდება, რომელიც არც სისტემას და არც მკითხველს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა.

ავტობიოგრაფიულ რომანში თავისუფლებააღკვეთილი ადამიანი, დრო და სივრცე დღემდე ცოცხალ მხატვრულ მეტაფორას ქმნის და თავის აქტუალობას არ კარგავს.

ეს გამოცემა იმითაცაა განსაკუთრებული, რომ წიგნს ერთვის რამდენიმე ფრაგმენტი რომანის ხელნაწერი ვერსიიდან, ასევე მწერლის მეუღლის – ნანული დუმბაძის – მიერ ციხეში შეგზავნილი ბარათები.

ნოდარ დუმბაძე
HELLADOS

96 გვ. | 6.50 ლარი


როგორც ნოდარ დუმბაძის მთელი შემოქმედება, მოთხრობაც „HELLADOS“ დიდი სიყვარულითა და სითბოთია განმსჭვალული. ნაწარმოებში ნათლად ჩანს ორი მოზარდის – იანგულისა და ჯემალის – ბრძოლა თვითდამკვიდრებისათვის. თუმცა მათი პაექრობა არასდროს სცილდება ადამიანურობის საზღვრებს და ყველაზე მძაფრ და გადამწყვეტ მომენტებში პერსონაჟები არ ჰკარგავენ ერთმანეთის პატივისცემისა და დაფასების უნარს.

„სამშობლო უფრო ღრმადაა, უფრო შიგნით,“ – ამბობს ბერძენი იანგული და სწორედ ეს განცდა ეძახის მას სოხუმში დასაბრუნებლად, როცა მამასთან და უამრავ ადამიანთან ერთად, გემით საბერძნეთში მიმავალი საბედისწერო გადაწყვეტილებას იღებს.

თქვენ წინაშეა ნოდარ დუმბაძის ბრწყინვალე მოთხრობის ილუსტრირებული, ფაქსიმილური გამოცემა.



ნოდარ დუმბაძე



ნუგზარ შატაიძე დაიბადა 1944 წლის 9 მარტს, თბილისში. სწავლობდა თბილისის ყოფილ ვაჟთა მე-20 სკოლაში. დაამთავრა 62-ე სკოლა. სწავლობდა ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემდეგ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ფიზიკის ფაკულტეტზე.

მუშაობდა თბილისის თბოელექტროცენტრალში ტურბინის მემანქანედ, საქართველოს ენერგოსისტემაში – ინჟინრად, გაზეთ „ლელოს“ რედაქციის განყოფილების უფროსად, გამომცემლობა „მერანის“ პროზის განყოფილების გამგედ, ჟურნალ „ომეგას“ რედაქციის განყოფილების უფროსად.

მისი პირველი მოთხრობა „თეთრი ყვავილები“ დაიბეჭდა 1968 წელს ჟურნალ „ცისკარში“. 1979 წელს გამოსცა მოთხრობების პირველი კრებული „მოთხრობები“. გამოცემული აქვს ნოველების, მოთხრობებისა და რადიოპიესების კრებულები: „მოლხინო (1986), „სოფლის ძეგლი სახლი“ (1990), „ელიქარი“ (1996), „ხელეური“ (1998), მოთხრობები (2001), „ნოემბრის წვიმა“ (2004), „ევროპაში რა მიხდოდა (2004), „პურის მოთხრობა (2005), ტრამვაი 7 (2005), „გაღმა ნაპირი (2010), შეხვედრა /რჩეული/ (2010). არის მრავალი მხატვრული („კუნძული“, „გაღმა ნაპირი“ და სხვ.) და დოკუმენტური ფილმის სცენარის ავტორი, ასევე ტელესერიალ „ცხელი ძაღლის“ სცენარის თანაავტორი კოტე ჯანდიერთან ერთად.



ნუგზარ შატაიძე
მოგზაურობა აფრიკაში
კუნძული

144 გვ. | 7.80 ლარი


ამ წიგნში ნუგზარ შატაიძის ორი ნაწარმოები – „მოგზაურობა აფრიკაში“ და „კუნძული“ შევიდა.

პირველი მათგანი მოთხრობაა, რომელსაც გამოქვეყნებისთანავე დიდი გამომხაურება მოჰყვა. 2009 წელს კი რეჟისორმა გიორგი ოვაშვილმა მოთხრობის მიხედვით მხატვრული ფილმი „გაღმა ნაპირი“ გადაიღო, რომელიც არაერთ საერთაშორისო კინოფესტივალზე წარადგინეს. სურათი ოცდაათამდე ქვეყანაში უჩვენეს და მაყურებლის მოწონებაც დაიმსახურა. ავტორმა გონფრევილის საერთაშორისო კინოფესტივალზე საუკეთესო სცენარისთვის პრიზიც მიიღო.

„გაღმა ნაპირი“ ნუგზარ შატაიძისა და გიორგი ოვაშვილის ერთადერთი თანამშრომლობა არ ყოფილა. ამის შემდეგ იქმნება „სიმინდის კუნძული“, უფრო კი, უბრალოდ, „კუნძული“, რომელიც მწერალმა არა მოთხრობად, არამედ ლიტერატურულ სცენარად, ფილმის პირველწყაროდ შექმნა.

წიგნს ერთვის ივანე ამირხანაშვილისა და ია ვეკუას წერილები – პროფესიული შთაბეჭდილებები ამ ორი ტექსტისა და ფილმის შესახებ.

თანამედროვე პროზა პოეზია ესეისტიკა დრამატურგია



ლელა სამნიაშვილი ლოცვა აბსტრაქციად

52 გვ. | 3.50 ლარი

ლელა სამნიაშვილი თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და გამორჩეული სახეა. მისი პოეზია განსაკუთრებული სიზუსტითა და სიმკაცრით, პოეტური ხმა კი ორიგინალური ჟღერადობით გამოირჩევა.




სოსო მეშველიანი მიჟღავნარ

68 გვ. | 3.30 ლარი

სოსო მეშველიანის ახალი წიგნიდან ბევრი ციტატის მოხმობა შეიძლება, რომელიც კარგად დაგვანახებს ავტორის გამორჩეულ პოეტურ ხედვას. კიდევ იმას, რომ ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ამბების, განწყობილებებისა და ხასიათების უჩვეულოდ, თავისებურად გადმოცემა შეუძლია. ოღონდ ესაა, კონტექსტიდან ამოგლეჯილმა, ცალკეულ ფრაზებად მოყვანილმა სტრიქონებმა შეიძლება ის მომხიბვლელობა დაკარგოს, რაც მას ლექსის მთლიან სამოსელში გააჩნდა.

სოსო მეშველიანი თავმოსაწონებლად არაფერს წერს. მისი ყველა სიტყვა განცდილი და ნაგრძნობია, გულში, გონებასა და სულის უღრმეს ხვეულებში გამოვლილი, გამოწრთობილი ურალიდან პირენეიმდე დაქსელილ გზებზე.

წიგნში თითქოს ერთმანეთს ერწყმის შინაგანი და ტერიტორიული ემიგრაცია. ეს ორი უმწვავესი განცდა, მძაფრი სულიერი მდგომარეობა, რომელიც ყველგან შეიძლება დაგეუფლოს – როგორც აქ, სამშობლოში, ისე საკუთარი ქვეყნისგან მოშორებულს.



გიორგი ზანგური სარეპეტიციო ლექსები

260 გვ. | 8.00 ლარი

„სარეპეტიციო ლექსებით“ დასათაურებულ კრებულში გიორგი ზანგურის აქამდე დაბეჭდილ ორივე წიგნში („ჩემს თანადეამინელებს“, „წიგნი“) შესულმა ლექსებმა მოიყარა თავი. მათ კარგად იცნობს მკითხველი და ამ კრებულების ხელახლა გამოცემა სწორედ მკითხველთა სურვილმა განაპირობა.

პროფესიით მსახიობმა თავისი მსოფლხედვის, განცდისა და მრწამსის გამოსახატად პოეზია აირჩია და ისეთივე თავგანწირვით, პირუთვნელი შემოქმედებითი ემოციით ერთგულებს მას, როგორც სცენას. მისი ლექსები მისივე განხორციელებული თუ განუხორციელებელი როლების, ეტიუდების, რემარკების გაგრძელებებია; პოეტი ამავე დროს მოთამაშეცაა და პირიქით, ფიცარნაგის გამჭვირვალე საბურველიდანაც ყველაზე ჭეშმარიტს, ყველაზე ნამდვილს ემსახურება – სიტყვას, პოეზიას.

„სარეპეტიციო ლექსები“ ხელოვნების ამ ორი დარგის – თეატრისა და პოეზიის სიმბიოზია, და ნამდვილი შემოქმედების კანონისამებრ – ამ მთლიანობით ცხოვრების უტყუარ იერსაც ატარებს.




გიორგი ზანგური შენ. არავინ

134 გვ. | 6.20 ლარი

ყველანაირი არჩევანი მშვენიერია, რადგან ის თავისუფლების სახელით მიენიჭა ადამიანს. ხოლო მათ შორის ღვთაებრივი კი მხოლოდ ერთია – მარტოობა.

გიორგი ზანგურის კრებული „შენ. არავინ“ ამ ღვთაებრივი არჩევანით ნაკარნახევი პოეზიაა; მთავარი თემაც, წიგნის კამერტონიც აქედანაა წამოსული. ოღონდ მარტოობა არა როგორც მწუხარე სოლო ან მიკრო-მონოლოგი, არამედ როგორც კაშკაშა კარნავალი და ზეიმი სიცოცხლის ყველა გრადაციაში. ეს გიორგი ზანგურის მარტოობაა – ყველაზე ბუნებრივი და ექსპრესიული დიალოგი გარე სამყაროსთან, თავის შესაცნობად და სრულყოფისკენ მიმავალ გზებზე სამოგზაუროდ. ამ გზაზე, შესაძლოა, შენი მეორე ცალიც იპოვო და გამთლიანდე.

კრებულში შესული არც ერთი ლექსი აქამდე არც ერთ პერიოდულ გამოცემაში არ დაბეჭდილა. მათ პირველად ხვდება მკითხველი. ესეც პოეტის არჩევანია. მისი პოეტური ძღვენი კი ცინცხალია და მოულოდნელი, როგორც მისივე ცხოვრების წესი, მუდმივად ახალი და მხატვრული იერით აღბეჭდილი სამყაროში – ამ დიდ და საბოლოო წიგნში.






ზაზა თვარაძე ჩადექი მანდ!

240 გვ. | 9.00 ლარი

„ეს წიგნი ზაზა თვარაძის გარდაცვალებიდან მეშვიდე წლისთავზე გამოიცა. მასში შესული ესეები და ჩანაწერები გამოუქვეყნებელია და მკითხველი მას პირველად გაეცნობა. აქვეა თავმოყრილი სხვადასხვა დროს პრესაში გაბნეული და დასაკარგად ვერგამეტებული ინტერვიუები ზაზასთან და გაზეთ ქომაგის „ანკეტა“, რომელიც აუცილებლად უნდა მოხვედრილიყო წიგნში. გარდა ჩანაწერებისა, მკითხველი იხილავს ზაზას სიზმრებს (ხილვის ხილვა!), რომელსაც აშკარად ამჩნევია პროზაიკოსისა და პოეტის ხელი. დარწმუნებული ვარ, რომ არა მხოლოდ იმ მკითხველისთვის, ვინც პირადად არ იცნობდა ავტორს, არამედ მისი მეგობრებისთვისაც მოულოდნელი იქნება მათთვის უცნობ ზაზასთან შეხვედრა...“

მანანა ჯიქიას წინასიტყვაობიდან



ესეისტიკა

1 ზვიად გამსახურდია –
კვალი ქართული კულტურის
ისტორიაში

82 გვ. | 3.00 ლარი

2 მაკა ჯოხაძე
სამოთხე უსიყვარულოდ

464 გვ. | 5.00 ლარი

3 ოქტაი ქაჯუმოვი
129 გვერდი ლიტერატურაზე

130 გვ. | 3.90 ლარი

4 ცისანა გენძეშაძე
პოეტის მკაცრი ოთახი

210 გვ. | 4.00 ლარი

5 ფრანსუაზ და
რევაზ ნიკოლაძეები
ქართველები საფრანგეთისთვის
ბრძოლაში

174 გვ. | 3.50 ლარი

6 ქართული საგამომცემლო
მოზაიკა
ნინო დეკანოსიძის ინტერვიუები

224 გვ. | 2.50 ლარი



კატო ჯავახიშვილი
იავნანა კაცებისთვის

232 გვ. | 9.80 ლარი

„წუხელის მოვრჩი ღმერთგახდილი და გულ(გ) ახდილი პოეტის კატო ჯავახიშვილის ახალი წიგნის ხელნაწერის კითხვას, რაც მთელი კვირის უძილობად დამიჯდა! არადა, წიგნს იავნანა გვიქვია, „იავნანა კაცებისთვის“. იავნანა იმად მოიგონეს, რომ ძილი მოჰგვაროს ადამიანს, თუნდაც კაცს, კატოს იავნანა კი აღვიძებს, აფხიზლებს და ძილს უფრთხობს მკითხველს, მეტადრე – მამაკაცს, უფრო მეტადრე – თავ-მოყვარეს, კიდევ უფრო მეტადრე – პოეტს. მე, როგორც ავტორის მიერ ამ წიგნის რედაქტორად გამორჩეულმა (ერთ-ერთმა) პირველმა მკითხველმა, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: ეს წიგნი ყველა თავმოყვარე მამაკაცმა პოეტმა უნდა წაიკითხოს.

არათავმოყვარემ და არაპოეტმა – მითუმეტეს. არც ქალებს აწყენთ, სხვათა შორის.

ბავშვები? ბავშვები არა, ბავშვებისთვის ჯერ ადრეა. ქატო იქა, კატო აქა“

პაატა ნაცვლიშვილის წინასიტყვაობიდან


კატო ჯავახიშვილი
2 ფინჯანი

292 გვ. | 4.00 ლარი

„ორი ფინჯანი“ იმ ინტერვიუების სრული კრებულია, რომლებიც წლების მანძილზე, სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში ქვეყნდებოდა. ესაა პოეტის, კატო ჯავახიშვილის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს თანამედროვე მწერალთა პიროვნების უკეთ გაცნობას საზოგადოებისთვის.

პოეტები, პროზაიკოსები, მთარგმნელები და პუბლიცისტები – კრებულში მრავალფეროვანი სპექტრია თავმოყრილი და თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ პროცესებზე ამ წიგნითაც შეიძლება მკაფიო წარმოდგენის შექმნა.

პოეტის მიერ მომზადებული ინტერვიუ დამატებით ხიბლს სძენს რესპოდენტის შინაგანი სამყაროს წარმოჩენას – თვალსაჩინოვდება ის სიღრმეები, ხშირად მკითხველისგან უხილავი პლასტები, რაც მწერლის შემოქმედებით ბიოგრაფიას განაპირობებს. ამ მხრივ კრებული ძალიან საინტერესოა.




ბურამ მებრალიშვილი

დაიბადა თბილისში, 1980 წელს. თანამედროვე ქართველი პროზაიკოსი, დრამატურგი და კინოსცენარისტი. მისი შემოქმედება მოიცავს 3 პროზაულ კრებულს, 3 რომანს, 2 პიესას და 2 კინოსცენარს.

მას ეკუთვნის ასევე 2008 წლის რუსულ-ქართულ კონფლიქტზე დაწერილი რომანი „iratta.ru“, რომელიც თავისი მძაფრი სიუჟეტებით და მომხდარის მეტ-ნაკლებად სუბიექტური ნატურალიზმით, მომხდარ ომზე დაწერილი უალტერნატივო ქართული წიგნია.

გურამ მეგრელიშვილი იყო მთავარი სცენარისტი ბოლო წლების ყველაზე დიდიბიუჯეტიანი ქართული მხატვრული ფილმისა „შეასონე“. მისი პიესა კი – „როგორ გავაკეთოთ ბიჭი“, რომელიც ძალადობის თემატიკას მიეძღვნა, დაჯილდოვდა გაეროს სპეციალური პრიზით.



ბურამ მებრალიშვილი
მდიდარი სოფლები

164 გვ. | 6.50 ლარი

ლიტერატურულ ჟანრთა ტრანსფორმაციის პირობებში გურამ მეგრელიშვილის სათქმელს კონკრეტულ ფორმას ვერ მოუძებნი, ის შუალედურია პუბლიცისტიკასა და ესეისტიკას შორის, თუმცა, მეორე მხრივ, იმდენად ხარ ალძრული საკუთარი მანკიერებების აღმოჩენით, რომ ამ ტექნიკურ საკითხზე ფიქრიც კი გუუხერხულება.

„სერბები ძალიან მაგარი ხალხია. მაგარი ფეხბურთიც აქვთ და მაგარი მწერლებიც ჰყავთ, რადგან ამ ქვეყანაში მოქალაქეობრივი ვალის მოხდა იცინა“ – ალბათ დაგვეთანხმებით, არც ერთ რედაქტორს არ ეყოფა გამბედაობა, ეს არააკადემიური ენობრივი სტილი შეასწოროს.

თუ გურამ მეგრელიშვილისეული სააზროვნო სისტემის ერთ-ერთ მიმართულებას – სტატისტიკურ ლოგიკას გავყევით, აღმოვაჩენთ, რომ ამ წიგნში პროცენტულად ყველაზე ხშირად ნახსენები სიტყვაა „მოქალაქე“ და მისგან ნაწარმოები ფორმები. ეს სტატისტიკა თავისთავად მეტყველებს მწერლის პრიორიტეტებზე. ამ წიგნის საბაბი ერთია – გურამ მეგრელიშვილმა დუმილი ვერ შეძლო! სწორედ ესაა მისი მწერლობის (მით უმეტეს, ადამიანობისა და მოქალაქეობის) გამართლება.



ბურამ მებრალიშვილი
რამდენიმე სიტყვით სიყვარულზე

194 გვ. | 6.50 ლარი

გურამ მეგრელიშვილის პროზა მკითხველმა მწერლის შინაგანი სიმართლის, სიფხიზლის გამო მიიღო და შეიყვარა. აქ ადამიანი მწერლის მთავარი საფიქრალია – თავისი ბედისწერით, შეცდომებით, სიყვარულით, სიცოცხლით და სიკვდილით.

გამორჩეული ენით მონათხრობი ამბები თქვენს წინ ცხოვრებას ახალი ტეხილებით გადაშლის, სადაც ნებისმიერმა შეიძლება ამოიცნოს თავისი თავი, ან მის წინ მომხდარი მოვლენა. მწერლის ჩანაფიქრი ისაა, მკითხველი ამ მოვლენათა განსჯის მონაწილე გახადოს, რათა ყველამ თავისი წილი პასუხი იპოვოს, თავისი წილი გამოსავალი.



ბურამ მებრალიშვილი
ევროპელი ხევისბერი

160 გვ. | 6.50 ლარი

„არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის!“ – ამ ანტიკური ფრაზის მიღმა მწერლობის ფარული აზრიც იკითხება, რომლის მიხედვითაც, ყოველი ტექსტი ისევ ადამიანს, სამყაროს გვირგვინს უნდა ემსახურებოდეს.

გურამ მეგრელიშვილის შემოქმედების მთავარი კრედო სწორედ ადამიანია, თავისი ბედისწერით, ტკივილითა და სიხარულით. ადამიანში კი უამრავი სისუსტეა, რომელიც გარე სამყაროსთან კონფლიქტის მიზეზიც ხშირად ხდება.

„ევროპელი ხევისბერი“ ერთი მთავარი კონცეპტის ირგვლივ გაერთიანებული მოთხრობებია – პატრიარქალურ საზოგადოებაში გამეფებული სტერეოტიპებისა და დამახინჯებული ტრადიციების წინაშე დარჩენილ ადამიანებზე, რომლებიც ყოფიერების შეცვლას ცდილობენ.




გაბა ნახუცრიშვილი
სისულელის ტრაქტატი

74 გვ. | 3.00 ლარი

რა არის ეს – დღიურები? ჩანაწერები? მემუარები ხომ არა და არა... ალბათ, უფრო – იმ წუთების, დღეების, იმ დროის მოხელთება, რომელმაც ცხოვრება, თავისი სირთულეების მიუხედავად, მაინც სამუდამოდ დაამშვენა და რომელსაც ახლა წარსული ჰქვია. ამ კრებულში იმ დროის ამბავია, რომელშიც, როგორც თავად ავტორი ამბობს: „სამუდამოდ დამთავრდა რაღაც“.

90-იანების მცხუნვარე სევედა – თავისი განუმეორებელი ადამიანებით, მოვლენებით, ისტორიებით; ბავშვობის მძაფრი შთაბეჭდილებები – მომდევნო წლების მსაჯულები; სიყვარულის ამბები – ყველაზე „კაცური“ საქციელებითა და დიდი ნალევლით – ამ ყველაფერს, არ დაგავიწყდეთ – პოეტი ყვება, ვისი ცხოვრებაც წარმოუდგენლად ჰგავს თავისივე პოეზიას და, პირიქით. ეს მსგავსება წიგნს განსაკუთრებულ ხიბლს სძენს.



ნინო თარხნიშვილი
ნიწო's Notes

142 გვ. | 4.50 ლარი

ნინო თარხნიშვილი სოციალურ პროზას წერს, დოკუმენტური ფონითა და ნატურალიზმით სავსეს, სულ სხვა, ყველაზე მწარე კუთხიდან რომ დაგანახებს შენს ეპოქაში, შენს ქალაქში, შენ გვერდით თუ ათასობით კილომეტრს იქით მომხდარ მოვლენებს, რომლებსაც, როგორც წესი, „ნიუსებიდან“ ეცნობი ხოლმე.

მის მოთხრობებში **X** ყოველთვის 3-ის ტოლია. დედა, მამა და შვილი იმ მარადიულ სამკუთხედს ქმნის, ყოფითი პრობლემებისა თუ სხვა შემთხვევების გამო ხშირად იშლება. ამ წიგნში მწერლის პოზიციაც იკითხება – მხატვრულად ასახოს რეალობა და დასვას აქტუალური საკითხები, რაც შემდგომში მკითხველის განსჯის საგნად უნდა იქცეს და ცხოვრებისეულ კუთხეში მიმწყვედელს გზა დაანახოს.

თითქმის სამასი წლის შემდეგ სერბი მწერალი და მისი ცოლი ლიზა კვლავ წააწყდებიან ქვის ბეჭდის, გამონათქვამი-სა და „ღვთისმშობლის ცრემლთა“ გამოცანა-საიდუმლოს. პასუხის ძებნა-ძიებაში მწერალი აყენებს სხვა სხეულის თეორიას: სხეული, რომელიც, ბიბლიის თანახმად, მკვდრეთით აღმდგარ ქრისტეს ებოძა, გარკვეულ ვითარებაში შესაძლებე-ლია, რომ ადამიანსაც ხვდეს...



მილორად პავიჩი


შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა

192 გვ. | 7.50 ლარი

თარგმნა გურამ გოგიაშვილმა

„შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა“ პავიჩის ერთ-ერთი გამორჩეული ტექსტია, რომელიც რამდენიმე ნოველისგან შედგება, მაგრამ მწერალს განუყოფელ რომანად მიაჩნია.

ეს არის თავისებური ლიტერატურული თამაშის სამყარო. პავიჩი ამ წიგნშიც არახაზობრივი პროზის ოსტატია, რთულიც და ერთგვარად დამაბნეველიც. ის მჩხიბავიც და მაცდუნებელიცაა, რომლის არც ერთი მომაკვდინებელი ცოდვა შიშს არ გვგვრის – თითოეული ცოდვა მწერლისთვის ახალი და ახალი იმპროვიზაციის თემაა. სიძვასაც, სასონარკვეთილებასაც, ამპარტავნობა-საც, ნაყროვანებასაც, სიხარბესაც, ავისმახსოვრობასაც და შურსაც მწერალი საკუთარი ზღაპრების შესაქმნელად იყენებს. შედისაც ცოდვას თავისი შვიდი წამალი აქვს უმანკოების, სასოების, სიმდაბლის, მარხულობის, სიყვარულის, მოწყალებისა და სიმშვიდის სახით, რაც უხილავად თან ახლავს მთელ თხრობას...



მილორად პავიჩი

ჩაით დახატული პეიზაჟი

400 გვ. | 8.50 ლარი

თარგმნა ელზა მეტრეველმა

მილორად პავიჩის „ჩაით დახატული პეიზაჟი“ – მრავალწახნაგოვანი რომანი, წიგნი, რომელიც ნებისმიერი მონაკვეთი-დან შეგიძლია წაიკითხო. ეს არის რომანი-კროსვორდი, რომანი-ლაბირინთი, რომელშიც ხელის ცეცებით მიიკვლეე გზას.

გზადაგზა ჩნდებიან უჩვეულო და იდუმალი პერსონაჟები, და ერთი მთავარი გმირიც - მწერლის უსაყვარლესი ქალაქი ბელგრადი, რომლის ქუჩები საცსეა მისტიკური საიდუმლოებებით.



მილორად პავიჩი

უკანასკნელი სიყვარული კონსტანტინოპოლში

144 გვ. | 7.00 ლარი

თარგმნა ელზა მეტრეველმა.

„უკანასკნელი სიყვარული კონსტანტინ-ოპოლში“ – ეს არის რომანი თავგანწირულ სიყვარულსა და სიძულვილზე, ღალატზე, ერთგულებასა და შურისძიებაზე, წარმატებასა და ბედნიერებაზე, ადამიანე-ბზე, რომელთა სახეც „სუნთქავს – ის ჩაისუნთქავს და ამოისუნთქავს დროს“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მილორად პავიჩის წიგნი ტაროს კარტზე დაფუძნებული მკითხაობის სახელმძ-ღვანელოა, მაგრამ როგორც პავიჩი ამბობს, რომანი წიგნის გმირთა მომავალს კი არ განჭვრეტს, არამედ მკითხველისას. სწორედ მკითხველს აქვს ის რამდენიმე გასაღები, რომლითაც რომანის გმირების ბედ-იღბალი იხსნება. პავიჩის გმირებს უყვართ, სძულთ, იბრძვიან, მარცხდებიან, იმარჯვებენ მანამ სანამ „ქვა გაილახება და ქარი წონაში მოიმატებს“. თხრობა და კარტების განლაგება თანმიმდევრულია, სწორედ ეს განსაზღვრავს რომანის ფორმის ორიგინალურობას.

იასმინა მიხაილოვიჩი
ხაზართა ზღვის ნაპირებზე


168 გვ. | 9.10 ლარი

თარგმნა ქეთევან ყანჩაშვილმა

მკითხველს უჩვეულო ავტობიოგრაფია ელის. ეგზოტიკურ აზერბაიჯანში მოგზაურობისა და კერძო-საჯარო მოგონებების აღწერის ფონზე ავტორი გვიამბობს ორი სერბი მწერლის სიყვარულზე, რომლებიც სიკვდილმაც კი ვერ დააშორა.

იასმინა მიხაილოვიჩის „ხაზართა ზღვის ნაპირებზე“ – დახვეწილი და მელანქოლიური რომანი მკითხველს ევროვიზიის სიმღერის კონკურსის შთაბეჭდილებებს უზიარებს, განმარტავს, რატომ ეწოდება კასპიის ზღვას „ხაზართა ზღვა“ და მოუთხრობს ორი კონტინენტის გასაყარზე მომხდარ გასაოცარ ამბებს.

ოთხი პროზაული ნაწილი, რომლებისგანაც ეს წიგნი შედგება, ავტორმა სწორედ იმ ორიგინალური და უჩვეულო ლიტერატურული ხერხების დაცვით განალაგა, რომლებსაც მილორად პავიჩი ასე ხშირად მიმართავდა თავის ნაწარმოებებში, თავისი და პავიჩის ორი განცალკევებული წიგნი ოსტატურად ჩააქსოვა ერთმანეთში და ერთ ჰარმონიულ კოლაჟად აქცია, ამიტომ მთელი წიგნი ერთი მთლიანი ორგანიზმით, ერთი ამოსუნთქვით იკითხება.



პატრიკ მოდიანო
დაკარგული ახალგაზრდობის
კაფეში

126 გვ. | 6.00 ლარი

ფრანგულიდან თარგმნა მედეა ქელიძემ

ლარიპატრიკ მოდიანო თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული რომანისტია, 2014 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში.

ამ რომანის მთავარი პერსონაჟის – ჟაკლინ დელანკის ანუ ლუკის პორტრეტს ოთხი მთხრობელი ქმნის: მაღაროელთა უმაღლესი სკოლის სტუდენტი, კერძო დეტექტივი, მთავარი გმირი, და მისი ერთ-ერთი საყვარელი. ახალგაზრდა ქალი, რომელმაც მეუღლე მალევე მიატოვა და რომელიც 50 წლ-იანი წლების პარიზში დახეტიალობს. მძიმე ბავშვობა, წარუმატებელი ქორწინება, და რამდენიმე მეგობარი ოდეონის კვარტალის კაფე „კონდედან“.


ფრანგული პანსონი
ჟორჟ ბრასენსი, ლეო ფერე,
ჟაკ ბრელი, სერჟ გენსბური,
ბორის ვიანი

144 გვ. | 4.50 ლარი

ფრანგულიდან თარგმნა ზაჩანა ჩაბრაძემ

ომისშემდგომ პარიზში ფრანგული სიმღერა ახალ ფრთებს ისხამს: დგება ავტორ-კომპოზიტორ-შემსრულებელთა ხანა. ხალხი აწყდება სენის მარცხენა სანაპიროს კაბარეებს, სადაც შანსონიეები გამომწვევ და „მიუღებელ“ სიმღერებს ასრულებენ. ეს მომღერლები, უპირველეს ყოვლისა, პოეტები არიან, უპირატესობას ანიჭებენ ტექსტს და ზღვარს შლიან პოეზი-ასა და სიმღერას შორის. სწორედ ამ დროს ვხედავთ ჟორჟ ბრასენსის ნიჭის სრულ გამოვლინებას, ლეო ფერეს ლირიკული ექსპრესიის მწვერვალს, ჟაკ ბრელის ხელოვნების „კრემენდოს“, სერჟ გენსბურის ექსტრავაგანტური ფენომენის დაბადებას და ბორის ვიანის შემოქმედების აპოგეას. მათ შექმნეს ფრანგული სასიმღერო ტექსტის ახალი ერა.

წინამდებარე წიგნი ამ ავტორთა შანსონების თარგმანების კრებულია.



ფილიპ ბასონი
იქიდან ზღვა ჩანს


142 გვ. | 5.60 ლარი

ფრანგულიდან თარგმნა დალი იაშვილმა

როდის ან რა მიზეზით დგება ერთი შეხედვით სტაბილურ და ხანგრძლივ ცოლქმრულ ურთიერთობაში ღალატის დრო? – ეს რომანი კარგად წარმოაჩენს ამ შეკითხვის არსს და მასშივეა პასუხთა ინტერპრეტაციები.

რომანის მთავარი გმირი 40 წლის მწერალი ქალია, მდიდარი შინაგანი სამყაროთი და იშვიათი კომპლექსით – დედობის უსურვილობა, შვილიერებაზე უარის თქმა. ცხოვრება კი მის ვნებებს და იდეებს თავის პარადოქსებს სთავაზობს. საბედისწერო სამკუთხედში ყველა თავის წილ ტრაგიზმს ინაწილებს.

წიგნში ფრანგული პროზისთვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური ნიუანსებითა და ეროტიზმით სასიყვარულო ურთიერთობების ახალი ლაბირინთები იხსნება.



ეჟენ იონესკო
განდგომილი

176 გვ. | 8.20 ლარი

მე-20 საუკუნის თეატრის რეფორმატორის, აბსურდის თეატრის ერთ-ერთი დამაარსებლისა და ლიდერის – ეჟენ იონესკოს რომანი „განდგომილი“ მისი ერთდერთი ცდაა, შეექმნა რომან-აბსურდის ფართო ტილო, რომელშიც გააგრძელებდა სინამდვილის ფილოსოფიურ კვლევას.

ავტორი ცდილობს, პასუხი გასცეს იმ კითხვებს, რომლებიც კაცობრიობის მუდმივი ლელვის საგანია: როგორ თანაარსებობს ადამიანი და ბრბო? როგორ იბადება აგრესია და მასობრივი ფსიქოზი? არსებობს კი წინააღმდეგობის მექანიზმი? რამდენად ძალუძს ადამიანს, თავიდან აიცილოს საყოველთაო კატასტროფები?

სამყაროს თავდაპირველ რეალობას – სიყვარული და გაცეცხა, ოცნება და სიკვდილი – იონესკოს პიესებსა და პროზაში ერთი კოსმოგენური ელემენტი – მარტოობა ემატება. ეს კიდევ ერთი სიუჟეტი გახლავთ, სადაც ავტორის ორიგინალურ აზროვნებას ისეთ ზღვრამდე მიჰყავს აბსურდი, რომლის იქითაც ახალი რეალობა იშლება.

წიგნები ფრანგულიდან თარგმნა დავით კახაპირმა



ეჟენ იონესკო
მარტორქა

292 გვ. | 9.00 ლარი

ადრინდელ პიესებში ეჟენ იონესკო სოციალური ბოროტების გამოხატვას აბსტრაქტული სიტყვებით ცდილობდა, პიესა „მარტორქაში“ კი ამ ბოროტების ხასიათის გარკვევა მწერალს კონკრეტული სიტუაციების გამოყენებით სურს. პიესაში აბსურდული მდგომარეობის მიღმა აშკარად ჩნდება რეალური სინამდვილე, რომელიც პრობლემურ პოლიტიკურ ხასიათს ატარებს და ავტორი ტოტალიტარიზმის, მასობრივი ისტერიის, კოლექტიური შეშლილობის, ფანატიზმის წინააღმდეგ გამოდის.

პიესაში „მეფე კვდება“ თავდაპირველ აკვიატებულ, ატომური კატასტროფის შედეგად სამყაროს ტოტალური ნგრევის იდეას, პიროვნების ნგრევის იდეაც დაუმატა და განავითარა სიკვდილისა და შიშის თემა.

„მაკბეტში“ ეჟენ იონესკომ თითქოს დროებით წონასწორობას მიაღწია – აქ თითქოს სიუჟეტიც არის, ხასიათებიც... ავტორმა შექსპირის „მაკბეტის“ პერსონაჟებიც უცვლელად გადმოიტანა, მხოლოდ მაღკოლმს შეუცვალა სახელი და მაკოლი დაარქვა; იქნებ, იმიტომ, რომ ხელისუფლების სათავეში მისი მოსვლით სამართლიანობის აღდგენის ის უმცირესი იმედი გაექრო, შექსპირი რომ უტოვებდა ხალხს...



ეჟენ იონესკო

ვუდი ალენი

ჩემი აპოლოგია


314 გვ. | 9.00 ლარი

ჩემი აპოლოგია ვუდი ალენის, თანამედროვე ამერიკელი მწერლის, სცენარისტის, მსახიობისა და რეჟისორის მოთხრობების სრული კრებულია, რომელშიც თავმოყრილია 1971-1980 წლებში შექმნილი ორმოცდაექვსი ნაწარმოები.

ვის არ შეხვდებით ამ მოთხრობებში: ნიუ-იორკში გადმოსახლებულ მადამ ბოვარისა თუ თევზის კონსერვებზე მოთევზავე ერნესტ ჰემინგუეის, დანტისტად გადაქცეულ ვან გოგსა და პოლ გოგენს, ჰიტლერს, რომელსაც ბაკენბარდების მოშვება სურს, ძალღად ქცეულ იოზეფ კ.-ს და თავად ვუდი ალენს, ხან პლატონის ეპოქაში მოხვედრილს, ხანაც თავის საძინებელში შეყუჟულს...

ამ მოთხრობებს, ზოგი რომ პირველი სენდვიჩის შექმნის ისტორიას მოგვითხრობს და ზოგი – სლენგის წარმოშობისას, აერთიანებთ ვუდი ალენის დახვეწილი, ნატიფი, ინტელექტუალური იუმორი.

ინგლისურიდან თარგმნა თამარ სუბელიანმა



უილიამ შექსპირი, უოლტ უიტმენი, რადიარდ კიპლინგი, მარინა ცვეტაევა, პორის პასტირნაკი
ერთი შედეგრის თარგმანები

228 გვ. | 4.50 ლარი

წიგნი აერთიანებს მსოფლიო მნიშვნელობის ხუთი პოეტის – უილიამ შექსპირის, უოლტ უიტმენის, რადიარდ კიპლინგის, მარინა ცვეტაევას და პორის პასტერნაკის ხუთი შედეგრის ქართულ თარგმანებს, რომლებიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა თაობის პოეტებმა შეასრულეს. ამ მხრივ, საგულისხმოა, რომ კრებული ქართული მთარგმნელობითი სკოლის მნიშვნელოვან აქცენტებს წარმოაჩენს, ქმნის მრავალფეროვან სურათს, თუ როგორია ამა თუ იმ შედეგრის ქართული აღქმა და რა დამოკიდებულებით ეპყრობიან ქართველი ავტორები მათ თარგმანს.

თითოეული შედეგრის თარგმანებს მოსდევს კრიტიკული წერილი, სადაც დანვრილებითაა განხილული ყოველი თარგმანის ლიტერატურული ფასეულობა და ერთგვარ გზამკვლევს წარმოადგენს მკითხველისათვის, რომ უკეთ შეაფასოს თითოეული მათგანი ცალ-ცალკეც და ერთობლიობაშიც.



ჰერტა მიულერი
ჩემი სამშობლო იყო ვაშლის კურკა

272 გვ. | 9.00 ლარი

გერმანულიდან თარგმნეს ნატალია ნადირაშვილმა და ეკატერინე რაისნერმა

რუმინეთის ერთ მიყრუებულ, პატარა გერმანულენოვან სოფელში დაბადებული და გაზრდილი მწერლისთვის გარემომცველი სამყარო, მის და მსოფლიოს თავს გადამხდარი კატაკლიზმები მნიშვნელოვანი ინსპირაციაა, რომელმაც მწერლის ბედიც შეცვალა და მისი შემოქმედებაც სამუდამოდ ამ შთაბეჭდილებით მონიშნა.

ავტობიოგრაფიულ რომანში, რომელსაც ვრცელი ინტერვიუს ფორმა აქვს, ჰერტა მიულერი საკუთარი ცხოვრების ყველა ნიუანსს, ყოველ ეპიზოდს განსაკუთრებული სიღრმით ხსნის და მას ზოგადკაცობრიული ბიოგრაფიის ჭრილში წარმოაჩენს. თხრობის მძაფრი, ჩამორევი მანერა კი წიგნს განსაკუთრებულ მიმზიდველობას ანიჭებს.




ხედვა როკას იტაი ბახურ ხედვა ისრაელიდან

178 გვ. | 5.50 ლარი

ებრაულიდან თარგმნა მამუკა ბუცხრიკიძემ

„აღმოჩენა უცნობი ქვეყნისა, რომლის მოსახლეობა ჩვენთვის უცხო ენაზე საუბრობს, ყოველთვის მღელვარებას იწვევს. ხოლო მიგნება მწერლებისა და პოეტებისა, რომელთაც ამ ენაზე დიდი პროზა და პოეზია შეუქმნიათ, უჩვეულო განცდას ბადებს.

ებრაულად დავწერეთ. თქვენს ქვეყანაში განცდილის თქვენთვის გადმოცემა მოხერხდა პროფ. მამუკა ბუცხრიკიძის დამსახურებით, რომელმაც წიგნი სიყვარულითა და რუდუნებით თარგმნა, გამომცემლობა „ინტელექტის“ მეოხებით, რომელმაც ის გამოაქვეყნა, და თქვენი წყალობით, ქართველებო, რომელთაც გული გაგვიხსენით, კარი გაგვიღეთ და შეგვიპატიეთ, თქვენი კულტურის ფაქისა და დაფარულ სიმებს რომ შევხებოდით“. (ავტორის წინასიტყვაობიდან)




მარკ იუნგე, გერნდ პონეაჩი, დანიელ მიულერი
ეთნოსი და ტერორი საქართველოში

478 გვ. | 5.50 ლარი

თარგმნა ესმა მანიაშ

წინამდებარე მონოგრაფიული კვლევის მთავარი საკითხია ატარებდა თუ არა დიდი ტერორი ეთნიკური ტენდენციების, თუნდაც გენოციდის ნიშნებს ისეთ მრავალეროვან რესპუბლიკაში, როგორიც საქართველოა. აქ სიახლედ, პირველ რიგში, კვლევის მეთოდოკა გვევლინება. ისეთი დიასპორების წინააღმდეგ გატარებული რეპრესიები, როგორებიც არიან ბერძნები, გერმანელები, თურქები და ა. შ., განიხილება არა იზოლირებულად, არამედ სხვა ეროვნული უმცირესობების, მათ შორის აფხაზების, ოსების, იეზიდებისადმი და ა. შ. მიმართული რეპრესიების კონტექსტში.

მკითხველს წარედგინება ავტორებსა და კვლევის შედეგებზე მოდავე ქართველ ისტორიკოსთა შორის გამართული მძაფრი დისკუსიის ამსახველი დოკუმენტები.



ხორხე ლუის ბორხესი

არგენტინელი მწერალი და პოეტი, მე-20 საუკუნის ლიტერატურული სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა.


დაიბადა 1899 წლის 24 აგვისტოს, არგენტინაში. სწავლობდა ჟენევაში, გარკვეული დრო გაატარა იტალიასა და ესპანეთში. 1921 წელს კი ბუენოს-აირესში დაბრუნდა და მრავალმხრივ კულტურული მოღვაწეო-ბა დაიწყო: დააარსა ჟურნალი, თარგმნა კაფკასა და ფოლკნერის ნაწარმოებები, გამოაქვეყნა ლექსები და ესეები.

1930-იანი წლების ბოლოდან დაიწყო მოთხრობებისა და ნოველების წერა. მალევე გამოაქვეყნა „მსოფლიო მზაკვრობის ისტორია“, რომელ-მაც მაშინვე გაუთქვა სახელი. ამ პერიოდში გადატანილი სერიოზული ტრავმის შედეგად, ნაწილობრივ დაკარგა მხედველობა, თუმცა ამის მიუხედავად მუშაობა არ შეუწყვეტია.

1955 წელს ბორხესი დაინიშნა ბუენოს აირესის ეროვნული ბიბლიოთე-კის დირექტორად. 1961 წელს სემუელ ბეკეტთან ერთად აიღო ფორმენ-ტორის პრემია. 1962 წელს მისი ნაწარმოებები პირველად ითარგნა ინგლისურად, 1979 წელს კი დაააჯილდოვეს სერვანტესის პრემიით.

ხორხე ლუის ბორხესი ავტორია საქვეყნოდ ცნობილი წიგნებისა: „მსოფლიო მზაკვრობის ისტორია“ (1935), „ალეფი“ (1949), „იდუმალ არსებათა წიგნი“ (1954), „ბროდის ანგარიში“ (1970), „ქვიშის წიგნი“ (1975), „შვიდი საღამო“ (1980) და სხვ.

გარდაიცვალა 1986 წელს ჟენევაში.



ხორხე ლუის ბორხესი მსოფლიო მზაკვრობის ისტორია

110 გვ. | 5.90 ლარი

ესპანურიდან თარგმნა ნინო ფიფიაშ

„მსოფლიო მზაკვრობის ისტორია“ – რატომ მზაკვრობა? – ადამიანის ბესტიალური ბუნების ერთ-ერთი დამახასი-ათებელი ვნება, რომლის გარეშეც, „საბედისწერო ადამიანებს“ არ ძალუძთ ცხოვრება. მზაკვრობა ქმნის ისტორიებს, ბადებს ვნებათაღელვას და უბიძგებს ადამიანებს ბოლომდე განიცადონ და შეიგრძნონ ყოფის გემო, თუნდაც თავის ყველაზე სასტიკ და ნეგატიურ გამოვლინებაში.

სწორედ ხორხე ლუის ბორხესის ეს წიგნი მოგვითხრობს ამგვარ მღელვარე და ალეგორიულ-მითოლოგიური მოტივებით გაჯერებულ სიუჟეტებს: დაწყებული შუააზიური უდაბნოს მტვრიანი ისტორიებითა და ვნებამორეული შაჰრაზადის ღამეული ზღაპრებით, დამთავრებული ველური დასავლეთის კოვბოური ცხოვრებითა და თანამედროვე ნიუ-იორკული ანდერ-გრაუნდულ-განგსტერული ამბებით.

ხორხე ლუის ბორხესი შვიდი საღამო

164 გვ. | 8.20 ლარი

ესპანურიდან თარგმნა ნინო ქაჯაიაშ

ამ წიგნში შესულია ხორხე ლუის ბორხესის მიერ 1977 წლის ზაფხულში, ბუენოს აირესში, კოლიზიუმის თეატრში წაკითხული შვიდი ლექცია.

დიდი მწერალი გვესაუბრება დანტეს „ღვთაებრივ კომედიაზე“, „ათას ერთ ღამეზე“, ბუდიზმზე, პოეზიაზე, კოშმარზე, კაბალაზე, სიბრმავეზე... ძალზე საინ-ტერესოდ, ცოცხლად გვიზიარებს მოსაზრებებსა და შთაბეჭდილებებს და გვიღვიძებს სურვილს, წავიკითხ-ოთ ან გადავიკითხოთ ლიტერატურული შედევრები, დაფიქრდეთ იმაზე, რაზეც არ გვიფიქრია, ან სხვა თვალით დავინახოთ ლიტერატურული თუ ცხოვრები-სეული მოვლენები.

ესაა უაღრესად განათლებული და ნიჭიერი ადამიანის ნაზრევი; ადამიანისა, რომელსაც ეკუთვნის სიტყვები: „სამოთხეზე ფიქრისას ყოველთვის რაღაც ბიბლიოთეკ-ისმაგვარი წარმომიდგება თვალწინ“.

ბორხესის „შვიდი საღამო“ საუკეთესო საკითხავია მათთვის, ვისთვისაც ლიტერატურა განუყრელი დღესასწაულია.



ხორხე ლუის ბორხესი ბროდის ანგარიში

114 გვ. | 6.00 ლარი

ესპანურიდან თარგმნა ლანა კალანდიაშ

ხორხე ლუის ბორხესის „ბროდის ანგარიში“ პირველად 1970 წელს გამოქვეყნდა. კრებულში მწერლის თერთმეტი მოთხრობაა შესული. მოთხრობებს შორის პირდაპირი შინაარსობრივი კავშირი არ არსებობს, თითოეული მათგანი დამოუკიდებელი იგავია, იგავი ბედისწერაზე, შემთხვევითო-ბაზე, ადამიანებზე და საგნებზე.

ბორხესი სიტყვაძუწნი მწერალია – წერს ლაკონურად, თანმიმდევრულად, სწორხაზოვნად. ერთ-ერთ მოთხრობაში თავადვე აღნიშნავს, თანმიმდევრული თხრობა წვრილმანებს მეტისმეტად აზვიადებსო. ამ თანმიმდევრული, მეთოდური თხრობის მიუხედავად, ბორხესის ენა პოეზიის ენასთან უფრო ახლოსაა. 1963 წელს პარიზში სტუმრად ჩასულ ბორხესს მარიო ვარგას ლიოსა ესაუბრა. ამ ინტერვიუში ბორხესი ზუსტად განმარტავს საკუთარი შემოქმედების პოეტიკას: „ახლა, ჩემი შემოქმედებითი კარიერის დასასრულს, მრჩება შთაბეჭდილე-ბა, რომ მხოლოდ ერთ ლიტერატურულ ჟანრს ვემსახურებოდი – პოეზიას, რომელიც ხშირად პროზით გამოიხატა“.

ბორხესის სხვა ენაზე ამეტყველების სირთულეც სწორედ მისი ენიდან მოდის. რეალურად მთარგმნელი ორი დიდი გამოწვევის წინაშე დგას: შეინარჩუნოს ამბის გარეგნული „სიცივე“ და ამავედროულად, მკითხველამდე მიიტანოს ის ფარული მღელვარება და ღრმა შინაგანი მელანქოლია, რომელსაც ბორხესის მაგია ჰქვია.



ანდრო ბუაჩიძე
დიდი თანავარსკვლავედი

236 გვ. | 5.00 ლარი

კრებულში თავმოყრილი ლექსების თარგმნა მსოფლიო პოეზიის შეცნობის თანამდევი პროცესი გახლდათ. ვთარგმნიდი იმას, რაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა ჩემზე. იყო შეკვეთებიც, ცალკეული კრებულების შედგენის პროცესიც, მაგრამ არჩევანის გკეთების საშუალება ყოველთვის მქონდა.

არჩევანს არც დრო განსაზღვრავდა, არც ეპოქა და არც სხვა რომელიმე გარეგანი ფაქტორი. თავიდათავი ლექსის ემოციური ზემოქმედება იყო. ის ლექსი მხიბლავდა, რომელიც ძალდაუტანებლად შემოაღნევდა ჩემში.

მთარგმნელის წინასიტყვაობიდან



ტომას სტერნზ ელიოტი
უნაყოფო მიწა

66 გვ. | 4.60 ლარი

ინგლისურიდან თარგმნა ზვიად რატიანმა

ტომას სტერნზ ელიოტის „უნაყოფო მიწა“ პირველად 1922 წელს გამოიცა და გამოქვეყნებისთანავე იქცა მოდერნისტული მწერლობის ქვაკუთხედად (ჯეიმზ ჯოისის „ულისესთან“ ერთად).

ორივე ნაწარმოების დახვეწასა და გამოცემაში დიდი წვლილი შეიტანა ეზრა პაუნდმა, რომელსაც ეძღვნება „უნაყოფო მიწა“, ელიოტისეული წარწერით: „il miglior fabbro“ (ჩემზე დიდ ოსტატს).

„უნაყოფო მიწა“, შეიძლება ითქვას, ერთი გაბმული ციტატაა, ქორო, რომელშიც ისმის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ხმა და მოტივი, რაც მანამდე შექმნილა მსოფლიო ლიტერატურაში.



მაცუო ბაშო
ნიოს ტბისაკენ

138 გვ. | 5.50 ლარი

თარგმნა ზაალ ჩხეიძემ

მაცუო ბაშოს ლექსები ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნის სამოციანი სამოცდაათიანი წლებიდან ქვეყნდებოდა სხვადასხვა პოეტურ კრებულში, ასეთები კი მაშინდელ იაპონიაში ბევრი გამოდიოდა. ბაშოს ეკუთვნის ლექსების არაერთი წიგნი, სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ გამოცემული, მარტო მოგზაურობის უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მან ხუთი წიგნი გამოსცა.

შეუძლებელია სათანადოდ შეფასება იმ გავლენისა და პატივისცემისა, რომელიც ბაშომ დაიმსახურა, ამას ცხადად მონშობს პოპულარობა, რომლითაც იგი სიცოცხლეშივე სარგებლობდა და რომელიც სიკვდილის შემდეგაც გაგრძელდა, გაგრძელდა და საუკუნეებს გაუძლო.



რუსული პოეზია
მარინა ცვეტაევა
ბორის პასტერნაკი
ანა ახმატოვა
ბელა ახმადულინა
იოსიფ ბროდსკი

278 გვ. | 4.60 ლარი

რუსულიდან თარგმნა ლანა ღოღობერიძემ

„თარგმანი უნდა მომდინარეობდეს ავტორისაგან, რომელმაც განიცადა დედნის ზემოქმედება შრომამდე დიდი ხნით ადრე. ის უნდა იყოს დედნის ისტორიული შედეგი“. მე ალბათ, პასტერნაკის ეს სიტყვები გულზე მხვდება იმიტომ, რომ ყოველთვის მხოლოდ იმ პოეტებს ვთარგმნიდი, რომელთაც მთელ ჩემს ცხოვრებას დააჩნიეს დაღი.

ცვეტაევა, პასტერნაკი, ახმატოვა, ახმადულინა, ბროდსკი – ეს ის პოეტებია, ვინც ადრეული ახალგაზრდობიდან, სხვადასხვა დროს, ამაფორიაქეს, შემძრეს და, სამუდამოდ დამკვიდრდნენ კიდევ ჩემში“.

მთარგმნელის წინასიტყვაობიდან



დონალდ ტრამპი
იფიქრე ჩემპიონივით


242 გვ. | 6.00 ლარი

ინგლისურიდან თარგმნა ციალა კალმახელიძემ

დონალდ ტრამპის სახელი უკავშირდება უზარმაზარი იმპერიის შექმნას უძრავი ქონების სფეროში, ბრენდისა, რომელიც ოქროს სტანდარტის სინონიმად იქცა. სტანდარტის ნიშანი არის მისი კომპანიის მიერ შექმნილი ცათამბჟენები თუ გასართობი ინდუსტრიის ნიმუშები.

დონალდ ტრამპს წლების განმავლობაში დაწერილი აქვს ბესტსელერად ქცეული წიგნები, რომლებშიც გადმოცემულია მისი ფილოსოფიური ხედვა – თუ როგორ შეიძლება სისხლსავსე ცხოვრება, როგორც პირადული, ისე პროფესიული თვალსაზრისით.

დონალდ ტრამპის რჩევები ყურადღებას იპყრობს საგანმანათლებლო, ინფორმაციული ხასიათით და ფართოდ აღებს კარს წარმატებული ადამიანების გულსა და გონებაში შესაღწევად.



ჟულიენ გრაკი
სირტის ნაპირები

328 გვ. | 3.60 ლარი

ფრანგულიდან თარგმნა დალი იაშვილმა

ჟულიენ გრაკს (1910-2007) რომანისტის „სირტის ნაპირები“ 1951 წელს გონკურის პრემია მიენიჭა, რომლის მიღებაზეც უარი განაცხადა. იგი ერთადერთი მწერალი გახლავთ, ვინც ამ პრესტიჟულ ლიტერატურულ პრემიაზე თქვა უარი.

გალიმარის გამომცემლობამ მისი პირველი რომანის „არგოლის ციხესიმაგრეში“ გამოქვეყნებაზე უარი თქვა. ჟულიენ გრაკმა იმ დროისთვის სრულიად უცნობ გამომცემელს ჟოზე კორტის მიმართა და ბოლომდე მისი ერთგული დარჩა. მოგვიანებით, ოთხმოციანი წლების ბოლოს, გალიმარის გამომცემლობამ ჟულიენ გრაკი იმ იშვიათ მწერალთა რიგს მიაკუთვნა, ვინც სიცოცხლეშივე დაიბეჭდა „პლეადის“ პრესტიჟულ კოლექციაში.

„სირტის ნაპირების“ მიხედვით 1959 წელს ლუჩიანო ჩაილიმ ოპერა შექმნა, რომელიც მონტე-კარლოში დიდი წარმატებით დაიდგა.



სელესტინ ფრენე
პედაგოგიური ინვარიანტები

108 გვ. | 2.00 ლარი

თარგმნეს კახმეგ კუდავამ და ციალა კალმახელიძემ

ეს წიგნი მრავალმხრივ საინტერესო იქნება ქართველი პედაგოგებისა და მშობლებისთვის.

სელესტენ ფრენე მე-20 საუკუნის გამოჩენილი ფრანგი პედაგოგი და ორიგინალური პედაგოგიური სისტემის ავტორია. მის მიერ ჩამოყალიბებულმა „ახალი სკოლის მეთოდკამ“ 30-წლიანი აპრობაციის გზა გაიარა და საფრანგეთსა და სხვა ევროპულ ქვეყნებში ფართოდ გამოიყენება.



მაგსად ნური
ქალაქის მერი

126 გვ. | 2.25 ლარი


აზერბაიჯანულიდან თარგმნა იმირ მამედლიმ

მაგსად ნური (1968) – პროზაიკოსი, ახალი აზერბაიჯანული პროზის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ცნობილი ჟურნალისტი და ახალი აზერბაიჯანული ჟურნალისტიკის ფუძემდებელი; მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, როგორც რეპორტიორი მუშაობდა ცხელ წერტილებში.

მისი პირველი კრებული „ჩვენს ჯიბრზე“ გამოვიდა 2006 წელს და კრიტიკის მხრიდან შეფასებული იყო როგორც ახალი მოვლენა აზერბაიჯანულ პროზაში...

მისი ნაწარმოებები თარგმნილია რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, ქართულ, უკრაინულ, უზბეკურ და სხვა ენებზე.

მაგსად ნური მრავალი დოკუმენტური ფილმის ავტორია. მისი მოთხრობების მოტივზე გადაღებულია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები. რომანი „ქალაქის მერი“ „ეროვნული წიგნის პრემიის“ ლაურეატია (2011).



ბორის აკუნინი

გრიგოლ ჩხარტიშვილი

მწერალი, იაპონისტი და მთარგმნელი. მხატვრულ ნაწარმოებს აქვეყნებს ბორის აკუნინის ფსევდონიმით.



დაიბადა 1956 წლის 20 მაისს ზესტაფონში. გრიგორიმ 1973 წელს მოსკოვის 36-ე ინგლისური სკოლა დაამთავრა. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა მოსკოვის სახელმ-ნიფო უნივერსიტეტის აზია-აფრიკის ქვეყნების ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. აქვს ისტორიკოს-იაპო-ნიისმცოდნის დიპლომი. თარგმნის მხატვრულ ლიტერატურას ინგლისური და იაპონური ენებიდან რუსულზე.

მუშაობდა ჟურნალ «Иностранная литература»-ს მთავარი რედაქტორის მოადგილედ (1999-2000). მისი მთავარი რედაქტორობით გამოიცა 20 ტომეული „იაპონური ლიტერა-ტურის ანთოლოგია“.

1998 წლიდან გრიგოლ ჩხარტიშვილი ლიტერატურულ შემოქმე-დებას ეწევა ფსევდონიმით ბორის აკუნინი. კრიტიკულ და დოკუმენტურ შრომებს აქვეყნებს ნამდვილი სახელითა და გვარით.

2009 წლის 29 აპრილს ბორის აკუნინი ამომავალი მზის მეოთხე ხარისხის ორდენის კავალერი გახდა. 2009 წლის 10 აგვისტოს რუსეთისა და იაპონიის კულტურულ ურთიერთობებში შეტ-ანილი წვლილისთვის იაპონიის მთავრობამ სახელმწიფო პრემია მიანიჭა.

პოპულარობა მწერალს მოუტანა ისტორიულ-დეტექტიური რომანების სერიამ ერასტ ფანდორინზე.



ბორის აკუნინი სასაფლაოს ამბები

256 გვ. | 7.00 ლარი

რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

წიგნი ერთი ადამიანის დანერვილია, მაგრამ ორი ავ-ტორი ჰყავს: ესეისტი გრიგოლ ჩხარტიშვილი და მისი ალტერ ეგო ბელეტრისტი ბორის აკუნინი.

გ. ჩ. მოგითხრობთ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში განლაგებული ექვსი ისტორიული ნეკროპოლისის შესახებ, ხოლო ბ. ა. სასაფლაოსთან დაკავშირებული ამბებით შეგაშინებთ, სადაც შეხვდებით მემამულის ქვრივ სალტიჩიხას, ოსკარ უაილდს, მარქსიზმის ფუძემდებელსა და თვით გამოძიებელ ერასტ ფან-დორინსაც კი...



ბორის აკუნინი მწერალი და თვითმკვლელობა

594 გვ. | 15.00 ლარი

რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

ამ წიგნის სათაურმა შესაძლოა ბევრი შეცდომაში შეიყვანოს. პირველ ადგილზე დგას „მწერალი“, „თვითმკვლელობა“ კი მეორეზე, მაგრამ სინამდ-ვილეში ავტორს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ თვითმკვლელობა აინტერესებს – ფენომენი. ხოლო ამ ფენომენს სწორედ მწერალთა ბედისწერის თვალთ განიხილავს. წიგნი თვითმკვლეული მწერ-ლის კი არა, თვითმკვლეული ადამიანის შესახებაა დანერვილი.

წიგნის მთავარი არქიტექტურული უპირატესობა ის გახლავთ, რომ სრულებით არაა აუცილებელი, ის თავიდან ბოლომდე წაიკითხოთ. ყოველი განყო-ფილება და თავი დამოუკიდებელ ესეს წარმოად-გენს, რომელიც სურვილისამებრ შეიძლება წაი-კითხო ან გამოტოვო. ახლავს დანართები ნოველების სახით.

სოფი ლორენი
სიყვარულით სამზარეულოში

280 გვ. | 13.00 ლარი

იტალიურიდან თარგმნა ნანა ზარდიაშვილმა

„სიყვარულით სამზარეულოში“ – ეს არის ორი ოსკარის მფლობელისა და მსოფლიო კინოს ლეგენდის მნიშვნელოვანი რჩევები, რომლებიც სუფრასთან გამოგადგებათ, 200-ზე მეტი რეცეპტი, პირადი კურიოზები, ლეგენდარული შეხვედრებისა და საოც-ნებო მოგზაურობის ამბები.

სწორედ ამ წიგნიდან ვიგებთ, რომ *Lobster Cocktail*-ის დამსახურებით გაიცნო სოფიმ კერი გრანტი; რომ ჯონ უეინთან საპარას უდაბნოში ყოფნისას იგემა პირველად *Mechoui*; და რომ ავოკადო პირველად ბევერლი ჰილზზე გაასინჯა ერთმა ცნობილმა რეჟისორმა.




სვამი ვივეკანანდა
ჯნანა იოგა

296 გვ. | 8.00 ლარი

თარგმანი და შენიშვნები ბაჩანა ბრეგ-ვაძისა

სვამი ვივეკანანდას წიგნში „ჯნანა იოგა“ თავმოყრილია რელიგიურ-ფილოსოფიური წერილები, რომლებიც თანამედროვე ადამიანს სულიერი ცხოვრების არსზე დააფიქრებს. სამყარო მარადიულია და ეს მარადისობა ნებისმიერ ეპოქაში სხვადა-სხვა ფორმით გამოვლინდება, საჭიროა მუდმივი სიფხიზლე და მიყურადება, რაც ადამიანს სულიერ სიჯანსაღეში ამყოფებს და წარმავლობის ტკივილს დაათმენინებს. კრებულში მედიტაციის, თვითჩაღრმავე-ბის, სულიერი წონასწორობის შესახებაა ვრცელი საუბრები. წერილები გაჯერებულია აღმოსავლური სიბრძნის, იგავების, მითების უნიკალური ნიმუშებით.



თანამედროვე ლიტერატი
პოეზია
სირტის ნაპირები

196 გვ. | 6.50 ლარი

თანამედროვე ლიტერატი პოეზიის ამ კრებულში თავი მოიყარა ქართულ ლიტერატურულ პრესასა თუ ცალკეულ გამოცემებში გაბნეულმა ლიტერატი ლირიკის ნიმუშებმა.

ქართველი მკითხველი პირველად გაეც-ნობა ოცდაათამდე ლიტერატი პოეტს, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან სტილისტიკით, ესთეტიკი-თა თუ გამომსახველობითი ფორმების მრავალგვარობით, რაც წიგნს უფრო საინტერესოს ხდის.

შემდგენელი რედაქტორი და ბეკარედის ავტორი ნანა დევიძე

მთარგმნელები: ხუტა გაგუა, ნანა დევიძე, გივი შაჰნაზარი, ჯემალ ინჯია, დავით რობაქიძე, გაგა ნახუცრიშვილი, დინარა კასრაძე, ირაკლი კაკაბაძე, მარიამ წიკლაური, მერი შალვაშვილი, ვასილ გულეური, ამირან სვიმონიშვილი, რუსუდან კაიშაური, ნატო ინგოროყვა, ელა გოჩიაშვილი, ეკა ქევანიშვილი.




ადოლფო გიოიო კასარესი
მორელის გამოგონება

წიგნის დღეებზე

ესპანურიდან თარგმნა ნინო ფიფიამ

XX საუკუნის არგენტინულმა ლიტერატურამ მსოფლიოს სამი დიდი მწერალი შესძინა – ხორხე ლუის ბორხესი, ხულიო კორტასარი და ადოლფო ბიოი კასარესი. თუმცა არის ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რაც ბიოი კასარესს მათგან გამოირჩევს: ის ერთ-ერთი პირველია, ვინც ესპანურენოვან ლიტერატურაში სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრს ამ-კვიდრებს. „მორელის გამოგონება“ (1940) მოგვითხრობს ვენესუელელ მწერალზე, რომელიც მართლმსაჯულებისგან გარბის და თავს უკაცრიელ კუნძულს აფარებს. მიუხედავად იმისა, რომ კუნძული რაღაც უცნაური, გაურკვეველი დაავადების კერაა, მწერალი მიიჩნევს, რომ ეს ერთადერთი ადგილია, სადაც უსაფრთხოდ იქნება.

მთავარი გმირი მალე აღმოაჩენს, რომ მარტო არაა. ვინ არის ეს ხალხი? რა საიდუმლოს მალავს კუნძული? კასარესი ახერხებს, გაზვიადებისა და მაღალფარდოვანი სიტყვების გარეშე დააინტერესოს მკით-ხველი მთავარი გმირის ბედით, დააფიქროს ისეთ თემებზე, როგორიცაა უკვდავება, სიცოცხლის შექმნა, ადამიანის გონების შესაძლებლობების ზღვარი...




თომას მანი
დოქტორი ფაუსტუსი

660 გვ. | 14.50 ლარი

გერმანულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო კარლო ჯორჯანელმა

თომას მანის „დოქტორი ფაუსტუსი“ ევროპული ინტელექტუალური რომანის შედევრია.

მწერალს ფაუსტური პრობლემატიკა მეოცე საუკუნის სინამდვილეში გადმოაქვს და პაროდის გამჭვირვალე საბურველში განიხილავს, პარალელს ავლებს ეშმაკთან შეკრული დიდი ხელოვანის ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრებასა და მაღალკულტურული, მაგრამ ნაცისტების მიერ მეორე მსოფლიო ომში ჩათრეული გერმანელი ხალხის ხვედრს შორის.





შუშა

352 გვ. | 10.00 ლარი

გერმანულიდან თარგმნეს მანანა თანდაშვილმა, ეკატერინე რაისნერმა და ნატალია ნადირაშვილმა.

ნინო ხარატიშვილი – გერმანიაში მოღვაწე ქართველი მწერალი, დრამატურგი და რეჟისორი, დაიბადა თბილისში 1983 წელს. თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ჰამბურგის თეატრალურ აკადემიაში. იგი არაერთი თეატრალური და ლიტერატურული პრემიის მფლობელია. 2008 წელს მიიღო ჰაიდელბერგის თეატრალური ფესტივალის პრიზი პიესისათვის „ლივ შტაინი“ ნომინაციაში „წლის საუკეთესო პიესა“, იმავე წელს დაჯილდოვდა როლფ მარეს პრემიით კატეგორიაში „წლის საუკეთესო დადგმა“ პიესისათვის „აგონია“. 2010 წელს მიიღო ადალბერტ ფონ შამისოს პრემია გერმანული ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისათვის. ნინო ხარატიშვილის პიესები იდგმება გერმანიის, ავსტრიის, შვეიცარიისა და რუსეთის თეატრების სცენაზე.

ქართველი მაცურებელი ნინო ხარატიშვილს, როგორც დრამატურგსა და რეჟისორს, 2012 წლიდან იცნობს – თბილისის სამეფო უბნის თეატრის სცენაზე მან თავად დადგა საკუთარი პიესა „ლივ შტაინი“. არანაკლებ წარმატებული აღმოჩნდა ნინო ხარატიშვილის დებიუტი პროზაში. მისი პირველივე რომანი „შუშა“ (2010) ბუდენბროკჰაუსის ლიტერატურული პრემიით აღინიშნა და 2010 წელს გერმანულენოვანი წიგნების საუკეთესო ოცეულში შევიდა.



ჩემი საშინელი პედანტიზმის თეორია

260 გვ. | 5.50 ლარი

გერმანულიდან თარგმნა ნინო ბურდულმა.

„ნინო ხარატიშვილის დრამატურგიული თხრობის მანერა ხარისხიან პროზასთან შეხების განცდას აჩენს უმაღლეს, პირველი წინადადების ნაკითხვისთანავე და ამავე დროს, ან იქნებ სწორედ ამ მიზეზის წყალობითაც, უაღრესად სცენიურია.


ომის, სიყვარულისა და მარტოობის თემატიკა ისეთ დასამახსოვრებელ მხატვრულ სახეებსა და ისტორიებს სთავაზობს მკითხველს, რომ შეუძლებელია ფიქრმა არ აგიყოლიოს, არ შეგძრას იმ კითხვებმა, რასაც დიდი ოსტატობით, ლიტერატურისა და თეატრალური ხელოვნების ღრმა ცოდნით გვანვდის გერმანიაში მოღვაწე ჩვენი ახალგაზრდა თანამემამულე.

წიგნში გაერთიანებული ოთხი პიესა ერთ ესთეტიკურ სივრცეს ქმნის, ამბიდან ამბამდე გვამოგზაურობს ადამიანური ვნებებით დამუხტულ, იდეალ სამყაროში და იქიდან გვესაუბრება მარადიულსა და მნიშვნელოვანზე, რადგან „დრამატურგიული ტექსტი“ კი არაა (როგორც მიგვაჩვენებს ამ ტერმინს), ნამდვილი ლიტერატურაა, აკადემიურიცაა თავისი ბუნებით და ავანგარდულიც ამავედროულად, ჭეშმარიტადაა განცდილი, გულისგულშია გამოტარებული, აქვს უნარი თანაგანცდაში „შეითრიოს“ მკითხველი, გააჩნია თავისი ფერი, განწყობა, ატმოსფერო, ხელწერა.

ეს იმ ტიპისა და რანგის შემოქმედებაა, რომელიც პლანეტის სხვადასხვა კუთხიდან შესაძლოა სხვადასხვაგვარად ჩანდეს კიდეც, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად საინტერესოა ყველასთვის“. (ირაკლი სამსონაძე)

ნინო ხარატიშვილი

ერთი უდევერის ყველა ქართული თარგმანი



ბორის პასტერნაკი
ზამთრის ღამე

62 გვ. | 2.00 ლარი

ცოტაა მსოფლიოში ცივილიზებული ერი, რომლის ენაზეც ბორის პასტერნაკის „ზამთრის ღამე“ არ იყოს თარგმნილი. ქართულმა თარგმანებმა ოცს გადააჭარბა. დიდი რუსი პოეტისა და მისი შედევრისადმი პროფესიონალ ლიტერატორთა დაუცხრომელი ინტერესის ესოდენ შთამბეჭდავი დასტური უთუოდ გულისხმობს მკითხველთა მზაობასა და ცნობისნადილსაც.

კრებულში შესულია ტარიელ ჭანტურიას, ირაკლი სურგულაძის, ლანა ლოლობერიძის, გივი შაჰნაზარის, ვახტანგ გოგოლაშვილის, თამარ ჯავახიშვილი-ამირეჯიბის, ბათუ დანელიას, ნოდარ ნონიაშვილის, მაია ჯორჯაძის, ქეთევან ბეზარაშვილის, ვასილ გულეურის, ელისო დვალის, რენე კალანდიას, ნათია ორმოცაძის, რობერტ მესხის, მარიამ ნიკლაურის, რუსუდან ჭანტურიშვილის, ნინო ქოქოსაძის, გვანცა ჯობავას, ლელა ცუცქერიძისა და ქეთევან დოლიძის თარგმანები.

მარინა ცვეტაევა
მე მომწონს ის, რომ თქვენ არა ხართ სწეული ჩემით...

56 გვ. | 2.00 ლარი

მარინა ცვეტაევამ „მე მომწონს...“ 23 წლის ასაკში დაწერა – 1915 წლის 3 მაისს. მას შემდეგ კი არაერთი პოეტი, ლიტერატორი, მთარგმნელი, უბრალოდ, მისი პოეზიის თავყვანისმცემელი შეეცადა თავის ენაზე აემეტყველებინა ეს შედევრი.

სხვადასხვა დროს ცვეტაევას ლექსის ქართული ვერსიები შექმნეს: ვახუშტი კოტეტიშვილმა, თეიმურაზ ჭურდოვანიძემ, ჟუჟუნა ხაჯიშვილმა, მარიამ ნიკლაურმა, ნინო ქოქოსაძემ, ბესო ხომერიკმა, ვასილ გულეურმა, ნათია ორმოცაძემ, მაია ჯალიაშვილმა, რუსუდან ჭანტურიშვილმა, ქეთი თუთბერიძემ, ანი კოპალიანმა, კესო მუშეულიანმა, კატო ჯავახიშვილმა, მანანა ნებიერიძემ, რობერტ მესხმა, გვანცა ჯობავამ, ნინო ნადირაძემ, სალომე ბენიძემ, თამარ რუხაძემ.



ედგარ ალან პო
ყორანი

178 გვ. | 2.00 ლარი

შეადგინა და შენიშვნები დაურთო გივი ბოჯგუამ


ედგარ ალან პოს „ყორანი“ პირველად 1845 წლის 29 იანვარს გამოქვეყნდა გაზეთ „ნიუ იორკ ივინგ მირორში“. რექტორმა ლექსი მკითხველს ასე წარუდგინა: „ყორანი“ ამერიკული პოეზიის უბადლო ნიმუშია მისი დახვეწილი მხატვრული ჩანაფიქრისა და ლექსთწყობის დიდი ოსტატობის გამო“.

სხვადასხვა დროს ედგარ ალან პოს ლექსის ქართული თარგმანები შექმნეს: ვაჟა-ფშაველამ, სანდრო შანშიაშვილმა, გრიგოლ მეგრელიშვილმა, კონსტინტინე ჭიჭინაძემ, ფილიპე ბერიძემ, გიორგი გამყრელიძემ, გიორგი ნიშნიანიძემ, სტეფანე მხარგრძელმა, ჯემალ ინჯიამ, პორფირე იაშვილმა, სილოვან წარიმანიძემ, ვაჟა შიუკაშვილმა, ვანო ყვავილაშვილმა, კონსტანტინე ზ. გამსახურდიამ, გია ბენიძემ, ზვიად მუსელიანმა, ბათუ დანელიამ, კოტე ჯანდიერმა, კოტე ყუბანეიშვილმა, ლელა ებრალიძემ, მედეა ზაალიშვილმა. აქვეა გალაკტიონ ტაბიძის დაუმთავრებელი თარგმანიც (მოგვანოდა ვახტანგ ჯავახიძემ). კრებულს ერთვის ედგარ პოს ესე „კომპოზიციის ფილოსოფია“, რომელიც ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე
მგზავრის ღამეული სიმღერა

82 გვ. | 2.00 ლარი

კრებულში თავი მოიყარა იოჰან ვოლფგანგ გოეთეს ლირიკული შედევრის სამოცდაათმა ქართულმა ვერსიამ – ილია ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, დავით ნახუცრიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლომთათიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, გივი გაჩეჩილაძის, გაბრიელ ჯაბუშანურის, ვახტანგ ბენუკელის, თედო უთურგაიძის, იონა ვაკელის, ხარიტონ ვარდოშვილის, ნოდარ შამანაძის, კონსტანტინე გამსახურდიას, შოთა ამირანაშვილის, აკაკი გელოვანის, ნინო ჟორჟოლაძის, გურამ კანკავას, გივი ძნელაძის, ვახტანგ კუპრავეას, რუსუდან ღვინეფაძის, დალი ფანჯიკიძის, გურამ ჭოხონელიძის, ზურაბ არჩვაძის, ნათია გოგოლაძის, ნათელა ხუციშვილის, ლუულუ დადიანის, შარლოტა კვანტალიანის, გოჩა კუჭუხიძის, ნიკა არევაძის, დოდო ჭუმბურიძის, რატი ამალლობელის, დალილა ბედიანიძის, კონსტანტინე ბრეგაძის, ბათუ დანელიას, ნინო დარბაისელის, შოთა ზოიძის, ეთერ თათარაიძის, ქართლოს კასრაძის, ემზარ კვიტაიშვილის, მაია ნათაძის, ნანა ყამბარაშვილის, შორენა შამანაძის, ირმა შიოლაშვილის, გულსუნდა ჩაგლეიშვილის, გურამ ჯახუტაშვილის, ჯუმბერ ჭუმბურიძის თარგმანები.



რადიარდ კიპლინგი
თუ

44 გვ. | 2.00 ლარი

რადიარდ კიპლინგის შედევრი „თუ“ პირველად მის კრებულში „ჯილდოები და ფერიები“ – გამოჩნდა 1909 წელს. როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, ლექსი შთამაგონებული და მოტივირებულია. იგი შეიცავს მთელ რიგ ჭკუის დამრიგებლურ მონოდეტებსა და მაქსიმებს, რომლებმაც სწორი გეზი უნდა მისცეს ახალგაზრდას კაცად ჩამოყალიბებაში.

„თუ“ ქართულ ენაზე პირველად მურმან ლებანიძემ თარგმნა, რომელსაც გასული საუკუნის 90-იან წლებში მაია ნათაძისა და კოტე ყუბანეიშვილის თარგმანებიც მოჰყვა.

გამომცემლობა „ინტელექტმა“ რადიარდ კიპლინგის „თუ“-ს თარგმნაზე კონკურსი გამოცხადა. კონკურსის განმავლობაში 35-მდე ახალი თარგმანი შემოვიდა. მათგან ჟიურიმ 12 საუკეთესო აარჩია, რომელიც სამ ძველ ვერსიასთან ერთად შევიდა კრებულში. ახალი თარგმანები ეკუთვნიო: ანზორ აბჟანდაძეს, ბაგრატ ბადიდს, თამთა გრიგოლიას, ვასილ გულეურს, ჯემალ ინჯიას, ლევან კიზირიას, ანი კოპალიანს, ქარდა ქარდუხს, მაია ცერცვაძეს, სერგო წურწუმიას, ზაალ ჯაღალონიას, გია ჯოხაძეს.

უილიამ შექსპირი
სამოცდამეექვსე სონეტი

28 გვ. | 2.00 ლარი

უილიამ შექსპირის სონეტთაგან საქართველოში ყველაზე გავრცელებულია სამოცდამეექვსე სონეტი, ცნობილი ფილმის, – „მონანიება“ – პერსონაჟის დეკლამაციისა და უფრო კი იმის გამო, რომ სონეტის შინაარსი საქართველოში ოდინდელ და დღესაც არსებულ ვითარებას ეხმაურება.

1998-99 წლებში გორის სალიტერატურო ჟურნალ „კლდეკარში“ რექტორისა და გამომცემლის, მწერალ თორე ჩხეიძის ინიციატივით დაიბეჭდა სამოცდამეექვსე სონეტის ძველი და ახალი თარგმანები, რასაც ახალ ათასწლეულში რამდენიმე თარგმანი შეემატა.

კრებულში შესულია შალვა დადიანის, გივი გაჩეჩილაძის, რევაზ თაბუკაშვილის, კოტე ყუბანეიშვილის, ინესა მერაბიშვილის, გენადი მარგველაშვილის, მაია ჯიჯეიშვილის, ლელა სამნიაშვილის, მედეა ზაალიშვილის, ალექსანდრე ელერდაშვილის, ანი კოპალიანის თარგმანები.



უოლტ უიტმენი
ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო...

40 გვ. | 2.00 ლარი

აბრაამ ლინკოლნის დალუგვას ეძღვნება უიტმენის ყველაზე ცნობილი ლექსი „ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო!..“, რომელშიც ეპოქის სულისკვეთება აღიბეჭდა.

უიტმენის „კაპიტანოს“, გარკვეულწილად, მეორე სიცოცხლე მიანიჭა 1989 წელს გამოსულმა ამერიკულმა მხატვრულმა ფილმმა „მკვდარი პოეტების საზოგადოება“ (რეჟისორი პიტერ უირი).

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ქართულ ენაზე „კაპიტანოს“ თარგმანთა სიმრავლე, გარკვეულწილად, ალბათ ხსენებულმა ფილმმაც განაპირობა. ნინამდებარე თორმეტივე ქართული თარგმანი მაღალმხატვრულ დონეზეა შესრულებული.

სხვადასხვა დროს უიტმენის ლექსის ქართული ვერსიები შექმნეს: ზვიად გამსახურდიამ, მედეა ზაალიშვილმა, ვასილ გულეურმა, ნინო დოლიძემ, დალილა ბედიანიძემ, ნანა გასვიანმა, პაატა შამუგიამ, ლელა ებრალიძემ, ნატა ვარადამ, სალომე ბენიძემ, ქარდა ქარდუხმა, ირაკლი კაკაბაძემ.


ფრანსუა ვიიონი
ოთხტაეპედი, სიკვდილმისჯილი ვიიონისგან თქმული

32 გვ. | 2.00 ლარი

„ოთხტაეპედი, სიკვდილმისჯილი ვიიონისგან თქმული“ 1463 წელს შატელეში, ჩამოხრჩობის მოლოდინში დაიწერა. ფრანსუა ვიიონი მწარე იუმორით შეეცადა განედევნა სიკვდილის შიში. მკითხველის გაცინებაც უნდოდა და მიაღწია კიდევ მიზანს.

ლექსი პირველად დავით წერედიანმა თარგმნა, შემდეგ სახელოვანმა პოეტებმა – ოთარ ჭილაძემ, მურმან ლებანიძემ და ვახტანგ ჯავახიძემ. ნიგნში შესულია თანამედროვე ავტორთა – გურამ გოგიაშვილის, დათო აკრიანის, ვასილ გულეურის, დალი იაშვილის, თამარ კოტრიკაძის, შალვა ბაკურაძის, ლუულუ დადიანის, ანდრო ლორიტაშვილის, ქეთევან თოდაძის, ბიჭია წერეთლისა და ნინო რეკის თარგმანებიც, რაც იმის მანიშნებელია, რომ ფრანსუა ვიიონის ოთხტაეპედს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.





ვახტანგ ჯავახიძე

უცნობი


864 გვ. | 12.00 ლარი

„უცნობს“ მუშრმან ლებანიძემ „მოულოდნელი წიგნი“ უწოდა, ტარიელ ჭანტუ-რიამ – „უცნაური რომანი“ და განმარტა: – ვახტანგ ჯავახიძემ გენიალური ქართველი პოეტი ხელიდან გამოსტაცა ჯალათ დროსა და მედროვეებს და შექმნა აპოლოგიის თანამედროვე კლასიკური ნიმუში.


– ვახტანგ ჯავახიძის „უცნობმა“ წმინდა ტაძარში შეგვიყვანა. – ეს მეტაფორა გურამ დოჩანაშვილს ეკუთვნის.

– ვახტანგ ჯავახიძემ შექმნა ქართული ბიოგრაფიული რომანის მშვენება – წიგნი გალაკტიონ ტაბიძის გენიის ანატომიაზე. – ეს უკვე ბესიკ ხარანაულის სიტყვებია.

– თქვენ თვითონ თუ იცით, რა გენიალური წიგნი დანერეთ? – უთხრა ავტორს თენგიზ აბულაძემ, რომელიც აპირებდა რომანი ეკრანზე გადაეტანა.



● ვიცოდეთ მეტი




ასტრონომია

74 გვ. | 9.10 ლარი

ინგლისურიდან თარგმნა შალვა საბაშვილმა

აღმოაჩინე მსოფლიოს უძველესი მეცნიერების საიდუმლოებანი – თანავარსკვლავედებიდან მთვარის ქანებამდე.

ნიგნიდან გაიგებთ, რატომ დაარქვეს პლანეტა იუპიტერს რომაელთა ღმერთის სახელი. ნახავთ, როგორ ხსნიდნენ XIX საუკუნის ასტრონომები მზის სისტემის აგებულებას. შეიტყობთ ასტრონომიული კავშირების შესახებ დედამიწის ზღვებსა და მთვარეს შორის და მიიღებთ უამრავ სხვა საინტერესო ინფორმაციას მსოფლიოს უძველესი მეცნიერების – ასტრონომიის შესახებ.




ელექტრობა

74 გვ. | 9.10 ლარი

ინგლისურიდან თარგმნა იური პაპავამ

თავად იხილეთ ვოლტებისა და ტრანსფორმატორების სამყარო და გაიგეთ, თუ როგორ შეცვალა ელექტრობამ თქვენი ცხოვრება. აღმოაჩინეთ, როგორ მუშაობს სილიციუმის ჩიპი, როგორ ამუშავებს ტვინი ელექტრულ სიგნალებს და იხილეთ ელექტროსადგურები შიგნიდან. ნიგნიდან გაიგებთ ისტორიებს ელექტრობაზე – უძველესი აღმოჩენებიდან დღევანდელ ტექნოლოგიებამდე.






ფული

74 გვ. | 9.10 ლარი

ინგლისურიდან თარგმნა სოფო ჯობავამ

აღმოაჩინე მომხიბვლელი ისტორია ფულის შესახებ – ვერცხლის ზოდებიდან თანამედროვე საკრედიტო ბარათებამდე. ნიგნში მოცემულა ფულის ისტორია დაწყებული მისი ჩანასახებიდან, დამთავრებული თანამედროვე ვალუტით. სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე დეტალურადაა აღწერილი, როგორ იწყებოდა ფულის შექმნა, თავდაპირველად რა ნივთებს გამოიყენებდნენ უძველესი ადამიანები ფულის ნაცვლად, შემდგომში განვითარების რა ეტაპებს გადიოდა და როგორ ყალიბდებოდა ფულის თანამედროვე ფორმები. გაიგებთ, როგორ უნდა გაარჩიოთ ყალბი ფული ნამდვილისგან.

ლექსიკონები



**თურქული ენის
სახელმძღვანელო**
თეონა აფხაზავა, ელისაბედ ბუალავა

თურქული ენის სახელმძღვანელო დაწერილია სპეციალურად ქართული უმაღლესი საგან-მანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის. წიგნით სარგებლობა შეუძლია თურქული ენის შესწავლით დაინტერესებულ ყველა პირს.

სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია ქართული ენის სპეციფიკა, რაც, ვფიქრობთ, გააადვილებს თურქულის შესწავლას. წიგნი აგებულია თანამედროვე მეთოდოლოგიისა (მოსმენა, წერა, კითხვა, ლაპარაკი) და ევროპის სარეკომენდაციო საბჭოს მიერ დადგენილი ენის დონეების შესაბამისად და 4 კომპონენტს მოიცავს:

- სახელმძღვანელო
- სამუშაო რვეული
- ლექსიკონი
- CD

სახელმძღვანელო
15.00 ლარი

სამუშაო რვეული
13.00 ლარი

ლექსიკონი
5.20 ლარი
CD
5.90 ლარი

კომპლექტი
23.00 ლარი



აფხაზურ-ქართული ლექსიკონი
თეიმურაზ გვანცელაძე

წიგნში წარმოდგენილია მოკლე აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, რომელიც შეიცავს 4 500-მდე სიტყვას. ლექსიკონში შესული ძირითადი ლექსიკა საკმარისია ორივე ენაზე თავისუფალი კომუნიკაციისათვის. წიგნი გამოადგებათ სტუდენტებს, მკვლევრებსა და ფართო საზოგადოების წარმომადგენლებს.

236 გვ. | 5.20 ლარი



ქართულ-აფხაზური ლექსიკონი
თეიმურაზ გვანცელაძე

ქართულ-აფხაზური ლექსიკონი შეიცავს ძირითად ლექსიკას, რომლის ცოდნაც საკმარისია ორივე ენაზე თავისუფალი კომუნიკაციისათვის. ქართულ-აფხაზურ ლექსიკონში სიტყვათა რაოდენობა 4200-მდე ერთეულს აღწევს.

260 გვ. | 5.20 ლარი



**რუსულ-ქართული სასკოლო
ლექსიკონი**
ვარლამ თოფურია
სიმონ ყაუხჩიშვილი

404 გვ. | 7.80 ლარი



ქართულ-რუსული ლექსიკონი
გიორგი ახვლედიანი
ვარლამ თოფურია

ლექსიკონში შესულია 17 000-მდე სიტყვა.
318 გვ. | 7.80 ლარი



ქართულ-სომხური ლექსიკონი
რამაზ გორგაძე

ლექსიკონში შესულია 40000 სიტყვა.
716 გვ. | 16.30 ლარი



**ქართულ-თურქული
ლექსიკონი**
ელიდა კვანტალიანი

320 გვ. | 16.30 ლარი



**აზერბაიჯანულ-ქართული
ლექსიკონი**
ნასიზ ნასიზოვი, სულეიმან
სულეიმანოვი

ლექსიკონში შესულია 8000 სიტყვა.
172 გვ. | 5.20 ლარი



**ქართულ-აზერბაიჯანული
ლექსიკონი**
ნასიზ ნასიზოვი, ვენერა ჯანგიძე,
სულეიმან სულეიმანოვი

ლექსიკონში შესულია 22 000 სიტყვა.
552 გვ. | 6.30 ლარი

კატალოგში წარმოდგენილია სადისტრიბუციო კომპანია **ირიატონის** ფასები

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 17ბ, ტელ.: 218 25 44

 სადისტრიბუციო კომპანია ირიატონი

e-mail: iriatoni@gmail.com; office.iriati@gmail.com

„ინტელექტის“ ნიშნების შექმნა შევიქცით შემდეგ მაღაზიებში:

მაღაზიათა ქსელები >

ბიბლუსი
ლატარნა
ლიპრა
პარნასი
ნიშნის სახლი
ალილო
მართლმადიდებელი
პარფუმი
ფრესკო
ფუდმარტი

ელექტრონული ნიშნის
მაღაზიები >

lit.ge
saba.com.ge

ნიშნის მაღაზიები >

თბილისი

ბუქ კაფე კავსადის 3
ნიშნის სახლი ბახტრიონი 11ბ
ნიშნები დადიანის 43
დიოგენე აფაქიძის 9
ნიშნები ვაკეში ფალიაშვილის 39ბ
ინტელექტი ვახუშტი ბაგრატიონის 77
ლიტერატი რუსთაველის 16
პროსპერო ბუქს რუსთაველის 34
საგანმეურნეო ქეთევან წამებულის 47
სამშობლო ყაზბეგის გამზირი 4
სანტა ესპერანსა სანქტ პეტერბურგის 12
საუნჯე + რუსთაველის 24
სიბრძნის კარი ვაჟა-ფშაველას 63
ნიშნები ვაგზლის მოედანი 2

ბათუმი

აჭარ ნიშნი ილია ჭავჭავაძის 70
ნიშნები ბათუმში მემედ აბაშიძის 60
საუნჯე ჯავახიშვილის 53
ნიშნის სალონი - ინტელექტი
დემეტრე თავდადებულის (ყოფილი შაუმიანის) 16
ლამპარი ჭავჭავაძის 75

ზუგდიდი

არტ ჰაუსი რუსთაველის 87ა

მარტვილი

ინტელექტი რუსთაველის 10

ლანჩხუთი

გონიო L ჟორდანიას 122

